საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუტთის გაფანა ყველა უკარისიბაზე უსაძაგღესია.

ოთხშაბათი, 27 იანვარი. 2016 წ. №15 (7907), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ვიკითხავ, სხვასან ვერ ნახავ!..

ყველა საღაზრიანი ქართველის სათქმელი – ევროპარლამენტში

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახლადარჩეულ პრეზიდენტს უპასუხა, რომელმაც თავის საინაუგურაციო სიტყვაში გიგი უგულავას პოლიტპატიმარი უწოდა.

„პრეზიდენტმა აგრამუნტმა თავის გამოსვლაში ახსენა ერთი გვარი და ის მოიხსენია პოლიტპატიმრად. ეს ადამიანი ბრალდებულია საელმწიფო ფონდების არასწორ გამოყენებაში. მინდა იცოდეთ, რომ საქართველოში კანონზე მაღლა ვერავინ დადგება. ამიტომ, არ არის საჭირო საქართველოს დადანაშაულება. საქართველო არ არის ხელწამოსაკრავი ქვეყანა. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ყველას აქვს თავისი სისუსტეები და ჩვენ უნდა ვიმუშავოთ ამ პრობლემების დასაძლევად, და რაც მთავარია, დემოკრატიულ სტანდარტებს უნდა ვემსახურებოდეთ“, – განაცხადა ჯაფარიძემ.

რას მოგვიტანს ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვა?

4

საგადასახადო კოდექსის მხოლოდ ფრაგმენტული რეფორმირება ხელშესახებ შედეგს ვერ მოგვცემს

6

საქართველოს ბედი ამერიკის, რუსეთის და „ისლამური სახელმწიფოს“ ფონზე

ხადურმა რომ სამჯერ ჭამა თიკანი, ლარის ინფლაცია ამას არ გამოუწვევია...

5

კრიმინალური სროვის „რჩეული“

3

ვინ არის „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი კახაბრიშვილი?

2

რა არის იქ, „შვიდწლიან ცლურაბლს“ მიღმა?

გარდასულ დროთა ლიტერატურული მემატიანე

7

დღის ამოჩაზურიდან

...ნახევარი მილიონი კუპონი რო ღირდა პური მაგის ბანკიროობის დროს, ეს ის გოცირიძეა თუ მეშლება?

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.492; ევრო - 2.697;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.553;
100 რუბლი - 3.141; თურქული ლირა - 0.828;
აზერბაიჯანული მანათი - 1.562;
1000 სომხური დრამი - 5.126

ამინდი 26 იანვრისთვის
აღმოსავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე -9, დღე +1
მთიანი რაიონები - ღამე -18, დღე -4
დასავლეთ საქართველო:
ბარი - ღამე -7, დღე +3
მთიანი რაიონები - ღამე -12, დღე -2
თბილისი: ღამე -6, დღე +1

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

პრემიერი არასამთავრობოებს შეხვდა

— არასამთავრობო სექტორის ჩართულობა ჩვენი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებსაც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.

პრემიერის თქმით, ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება მმართველობის რეფორმა იქნება, რაც გამჭვირვალობის ზრდას და მაქსიმალურ ჩართულობას ითვალისწინებს.

„ჩვენ გვინდა, კიდევ უფრო გამჭვირვალე იყოს მმართველობა საქართველოში და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლების ჩართულობა ჩვენი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში კიდევ უფრო მაღალი იყოს. მინდა, ვისაუბროთ გულწრფელად, გულახდილად ყველა იმ საკითხზე, რომელიც ჩვენთვის აქტუალურია“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერმა არასამთავრობოებს მიაწოდა ინფორმაცია იმ ინტენსიური პროცესის შესახებ, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს და აღნიშნა, რომ ყოველდღიურად, ყველა მინისტრი ერთობლივად განიხილავს თითოეული სამინისტროს პროექტების პორტფელს, რის შემდეგაც ხდება მათი პრიორიტეტიზაცია.

გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში გაიმართება ერთობლივი პრეზენტაცია ყველა სამინისტროს განხრით, რას თვლის მთავრობა ყველაზე უფრო პრიორიტეტულად.

„პროექტების პრიორიტეტიზაცია ხდება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით, რომელთა შორის სამი უმთავრესია — საზოგადოებისთვის აქტუალობა, რესურსების არსებობა და სახელმწიფო განვითარების სტრატეგიასთან თანხვედრა. თითოეული სამინისტროსთვის ვირჩევთ 3-დან 5 პრიორიტეტამდე, რაც მთლიანობაში აიკინძება მთავრობის პროექტების ერთიან პორტფელად და მათ შორის აირჩევა მთავრობის მასშტაბით 3-დან 5-მდე პრიორიტეტული პროექტი. ეს პროცესი ალბათ უახლოეს ერთ თვეში დასრულდება“, — განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა განმარტა, რომ თითოეული სამინისტროს მიმართულებით ორი შეხვედრა ტარდება, რომელთაგან პირველზე განიხილება პორტფელი და გამოიყოფა ყველაზე აქტუალური პროექტები, ხოლო მეორე შეხვედრაზე — პოლიტიკური პასუხები და გამოწვევები.

პრემიერის შეფასებით, ეს არის ძალიან საინტერესო პროცესი, რომელშიც ჩართულია საპარლამენტო წარმომადგენლობაც. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, პრიორიტეტების განხილვა არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც გაიმართება, რადგან მთავრობის მიზანია ამ პროცესში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა.

როგორ განვითარდება სარეკრეაციო ზონები?

პრემიერ-მინისტრმა მერს თბილისის სარეკრეაციო და ე.წ City Resort-ების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ინფორმაციის მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში წარმოდგენა სთხოვა.

„ჩვენს თანამოქალაქეებს აწუხებთ ის, რომ ქალაქში ძალიან მცირე სარეკრეაციო ზონა დარჩა. ჩვენ მხარს დაგიჭერთ ყველა პროცედურის გამარტივებაში, რათა მაქსიმალურად დავაჩქაროთ ე.წ. City Resort-ების განვითარება,“ — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

განსაკუთრებული ყურადღება ამ პროექტში პრემიერმა თბილისის ზღვის განაშენიანების გენერალურ გეგმას დაუთმო, რომელსაც თბილისის მერია მოკლე ვადებში წარმოადგენს.

მორიგი სამუშაო შეხვედრა თბილისის მერიის წარმომადგენლებთან დედაქალაქში განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტიზაციასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში გაიმართება.

მსოფლიო ტურიზმის ექსპერტებმა შეხვედრებისთვის საქართველო შეარჩიეს

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია შეხვედრას საქართველოში ატარებს. ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, გამონაკლისის სახით, გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია სტატისტიკის კომიტეტის შეხვედრას ბაზრების ქვეყნის, ესპანეთის, გარეთ საქართველოში ატარებს.



27 იანვრამდე საქართველო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მრჩეველთა ტექნიკური საბჭოს მე-5 სხდომასა და სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტის მე-16 შეხვედრას მასპინძლობს.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს სტუმრობენ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ექსპერტები სტატისტიკის დარგში.

საქართველოში იმყოფება აგრეთვე მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი მარსიო ფავია, რომელიც საქმიან შეხვედრებს გამართავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან დიმიტრი ქუმსიშვილთან და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან გიორგი ჩოგოვაძესთან.

სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტი 12 ქვეყანას აერთიანებს, მათ შორის ავსტრიას, ესპანეთს, ბრაზილიას, ჩილეს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საქართველო მეორე ვადით იქნა არჩეული ხსენებული კომიტეტის წევრად. გასულ პერიოდში ჩვენს ქვეყანას აღნიშნულ კომიტეტში ვიცეპრეზიდენტის პოსტიც ეკავა, წელს კი მისი მნიშვნელოვანი კონტრიბუცია უკვე ღონისძიების საქართველოში ჩატარებით აღინიშნა. ხსენებული კომიტეტის წევრობა და მოცემული შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის ტურიზმის სტატისტიკის წარმოების დახვეწის, საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებისა და თანამედროვე მიდგომების დანერგვის კუთხით. გარდა ამ სხდომისა, საქართველოში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ეგიდით წელს კიდევ ერთი მასშტაბური ღონისძიება ჩატარდება. შემოდგომაზე საქართველო უმასპინძლებს ღვინის ტურიზმის პირველ გლობალურ კონფერენციას, რაც კიდევ უფრო წარმოაჩენს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს ტურისტულ პოტენციალს.

დაბარდნილ ბათუმში

უკვე მეორე დღეა სააღმზრდელო პროცესი შეწყვეტილია ბათუმის ყველა საბავშვო ბაღში. ბათუმის მერიის ინფორმაციით ამ დროისთვის ბათუმში სტაბილური მდგომარეობაა.

შეუფერხებლად ხორციელდება წყალმომარაგება როგორც ახალი, ასევე ძველი ქსელის აბონენტებისთვის. ელექტროენერგია არ მიეწოდება 200 აბონენტს მახინჯაურში და 500 აბონენტს ადლიაში. მიმდინარეობს დაზიანებული ხაზების აღდგენითი სამუშაოები. მიუხედავად დიდთოვლობისა, მუშაობა არ შეუწყვეტია მუნიციპალურ ტრანსპორტს. გამწვანების სამსახური აგრძელებს ხეების თოვლისგან გათავისუფლების ღონისძიებებს მთელი ქალაქის მასშტაბით. თოვლმა ყაზბეგისა და ქათამაძის ქუჩებზე 3 ხე წააქცია. მიმდინარეობს ტერიტორიის დასუფთავებისა და საშეშე მერქნის დასაწყობების სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ თოვლსაწმენდი ტექნიკა მუშაობს მთელი ქალაქის მასშტაბით, ინტენსიური თოვის გამო ქუჩების სრულად გაწმენდა ვერ ხერხდება. ამ დროისთვის გაწმენდილია ქალაქის ცენტრალური ქუჩები. გადაადგილება შეფერხებულია ჭაობის ტერიტორიაზე.

◎ საბანკო სფერო

რა არის იქ, „შვიდწლიან ზღურბლს“ მიღმა?

წლების მანძილზე, საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სეგმენტი საბანკო სფეროა. ამას როგორც საქსტატის, ასევე ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მონაცემები მოწმობენ. უცხოელი ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ჩვენებური საბანკო სისტემა რეგიონში გამორჩეულად განვითარებულია, რაც კაპიტალიზაციისა და მისი ზრდის რესურსებით გამოიხატება.

კომერციული ბანკების მოღვაწეობაზე ზედამხედველობა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, ამდენად, ბუნებრივია, რომ სფეროს წარმატებებს მისი ხელმძღვანელობა საკუთარი კარგი მუშაობის შედეგად წარმოაჩენს. გარკვეული ასპექტით ეს ასეც არის, მაგრამ ერთი რომ კომბანკების მიმართ მომხმარებლებს არაერთი პრეტენზია აქვთ, მეორეც ის, რომ ეროვნული ბანკის საშოღვაწეო ასპარეზი ერთიანად ქვეყნის ფინანსური ბაზრის განვითარებაა. არადა, ბოლო წლების მანძილზე სებ-ის პოლიტიკის ყველაზე სავალალო შედეგი სწორედ ისაა, რომ საბანკო სექტორმა, არსებითად, მთელი საფინანსო ბაზარი ჩაანაცვლა, ლარი შესუსტდა, რაც ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის და, მთელი რიგი უაღრესად მძლავრი საგარეო ფაქტორის მიუხედავად, რომელთა თაობაზე არაერთგზის გვქონია ლაპარაკი, ესეც მისი ნებით თუ უნებლიეთ განხორციელებული, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებელი პოლიტიკის შედეგია, რის შესახებ უფრო დაწვრილებით ლაპარაკი ქვემოთ გვექნება.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დაცვა, რაც საფინანსო სექტორის ზედამხედველობის არასაკმარისი დონის პირობებში, ფაქტობრივად, არ ხორციელდება.

გარკვეული გამოცოცხლების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ ჩანასახოვან მდგომარეობაშია ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თუმცა კი მის სრულად ამოქმედებას ინვესტიციების მოზიდვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება ასევე დოლარიზაციის ზედმეტად მაღალი მაჩვენებელი, საფინანსო ბაზრის ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე სრულფასოვნად მოქმედებისთვის საჭირო სხვა პირობების შექმნა, რაზეც მთელი რიგი სერიოზული პრეტენზია არსებობს, რომლებიც პარლამენტის რამდენიმე, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების წევრი დეპუტატების დიდმა ნაწილმა გამოთქვა.

იხ. 5 გვ.

დიდთოვლობის პრობლემები

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, დიდთოვლობის გამო დაზიანებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე აღდგენითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება. აჭარისა და გურიის რაიონულ ცენტრებს ელექტროენერგია კვლავ უწყვეტად მიეწოდება. პრობლემური რჩება რამდენიმე სოფელი, სადაც დიდთოვლობის გამო დაზიანებულია ელექტროსადენები. აღნიშნულ რეგიონებში ძირითადად დაბალი და საშუალო ძაბვის ელექტროქსელია დაზიანებული. კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ბრიგადებს ფეხით უწევთ დაზიანებული უბნების აღმოჩენა და დაზიანებების აღმოფხვრა.მეორე დღეა მდგომარეობას ადგილზე სწავლობს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი.

კრიმინალური ხროვის „რჩეული“

ვინ არის „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ბესიკ კახაბრიშვილი?

ბესიკ კახაბრიშვილი

გარდაბნის გამგებლის პოსტისთვის არჩევნებში ხვალ, 28 იანვარს ერთმანეთს 2 კანდიდატი დაუპირისპირდება, „ნაციონალური მოძრაობიდან“ ბესიკ კახაბრიშვილი და „ქართული ოცნებიდან“ გოჩა ჯამარაული.

ვინ არის ბესიკ კახაბრიშვილი, რომლის ირგვლივაც საზოგადოების მხრიდან უამრავი კითხვა არსებობს? ბესიკ კახაბრიშვილს ბრალს უამრავ დანაშაულში სდებენ, მათ შორისაა ყაჩაღობა და თაღლითობა.

„ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან კრიმინალის კანდიდატად დაყენება ახალი არაა საზოგადოებისთვის, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ პარტიის ლიდერები დღესაც იხდიან სასჯელს საქართველოს ციხეებში, ხოლო ქართველი დიქტატორი, ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი ოდესას აფარებს თავს.

ფაქტები ბესიკ კახაბრიშვილის დანაშაულებთან დაკავშირებით რეალური რომ არის, ამას ქართული მართლმსაჯულების არქივიც მოწმობს.

ბესიკ კახაბრიშვილმა 1993 წელს ოთხ თანამზრახველთან ერთად დააყაჩაღა გარდაბნის რაიონის სოფელ სააკაძეში მდებარე ბეწვეულისა და ტყავის გადამმუშავებელი ფაბრიკა. ამ კრიმინალურმა ბანდამ, კახაბრიშვილის მონაწილეობით, იარაღის მუქარით, განსაკუთრებული სისასტიკით სცემა აღნიშნული ფაბრიკის დარაჯი, თოკებით დაბა და აწამა, რის შემდეგაც, ფაბრიკის საწყობიდან გაიტაცეს დიდი რაოდენობით თანხა და ქონება. ბესიკ კახაბრიშვილი ყაჩაღობის პერიოდში სამხედრო სამსახურში იყო და ამ ფაქტზე გამოძიებაც სამხედრო პროკურატურამ დაიწყო. სამართალდამცავებმა კახაბრიშვილის ბანდის ყველა წევრი დააკავეს, ხოლო თავად ბესიკ კახაბრიშვილი მიმალვაში იმყოფებოდა. 1994 წელს სამართალდამცავებმა მოახერხეს და დააკავეს ძებნილი კახაბრიშვილი და ქართულმა სასამართლომ მას 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში. ასევე, მოხდა ბესიკ კახაბრიშვილის ქონების კონფისკაციაც.

ბესიკ კახაბრიშვილს თაღლითობაში ადანაშაულებს მოქალაქე ნარი გეგეშიძეც. როგორც ნარი გეგეშიძემ „რეპორტიორთან“ ინტერვიუში განაცხადა, ბესიკ კახაბრიშვილი იმ თაღლითური სქემის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, რის შედეგადაც გეგეშიძის ოჯახი უბინაოდ დარჩა. ნარი გეგეშიძე ყვება, რომ ვაზიანში მდებარე ბლოკის საამქრო, რომელიც მისმა ოჯახმა საკუთარი ხელით ააშენა, კახაბრიშვილმა თანამოაზრეებთან ერთად წაართვა, გადაიფორმა და გაქურდა. ნარი გეგეშიძის თქმით, ბლოკის საამქროს წართმევის შემდეგ ოჯახს გაუჭირდა, ბინა დაკარგა და 6-სულიანი ოჯახი ლუკმაპურის გარეშე დარჩა. გლდანის რაიონში მცხოვრები, 76 წლის ნარი გეგეშიძე აცხადებს, რომ საქმეს პროკურატურა იძიებს, თუმცა, ის მანამდე არ გაჩერდება, სანამ თავად არ აგებინებს პასუხს დამნაშავეებს:

– ბესიკ კახაბრიშვილის თაღლითობის გამო ჩემი ოჯახი უბინაოდ დარჩა. მეუღლე პირველი ჯგუფის ინვალიდია. კახაბრიშვილმა ჩვენი ოჯახის ხელით შექმნილი ქონება წაგვართვა და გაანიავა! ახლა გამგებლის თანამდებობაზე იყრის კენჭს. კეთილი ინებოს, მოვიდეს და დამელაპარაკოს – რას აპირებს?! საქმე პროკურატურაშია! მან გაძარცვა ჩვენი ქონება. საამქროდან რკინის ნაკეთობები წაიღო, გაქურდა, გაანიავა. არ გავჩერდები, ვიტყვი ყველგან, სადაც ხელი მიმიწვდება. პასუხს ვაგებინებ ამ დამნაშავეებს.

– როგორ მიითვისა თქვენი ოჯახის ქონება კახაბრიშვილმა?

– სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გარდაბნის სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა შოთა დიდებაშვილმა, მექრთამემ და ორჯერ ნასამართლევმა, ჩვენი ქონება გადაუფორმა კახაბრიშვილს, ხოლო კახაბრიშვილმა – ვასილ თურქიშვილს. დაიტაცეს ყველაფერი, რაც კი იყო ჩვენი ოჯახის კუთვნილი საამქროში! თუ უნდა, მის საქმეში არ ჩავერიო, დააბრუნოს წართმეული ქონება!

ჩვენ ეს ტერიტორია 1978 წელს გადმოგვეცა. თავიდან ცარიელი ადგილი იყო. ჩვენი ძალებით ავაშენეთ, გავაკეთეთ შენობა-ნაგებობები, ბლოკის საამქროდ ვაქციეთ, შევიძინეთ ინვენტარი.

ჩემმა მეუღლემ – ვიქტორ ხატიაშვილმა 1999 წელს ტექბიუროში ეს ქონება დაირეგისტრირა – ამის საბუთი გვაქვს. დარეგისტრირებულები ვიყავით, როგორც „საქმიანი ეზო“. ამის შემდეგ მეუღლე გახდა ავად... მოვიდნენ ვინმე არსენა, ზურა პაპუნაშვილი, რომელმაც გაყიდა ეს საამქრო. ეს იყო ჯგუფური თაღლითობა.

– რას ნიშნავს – მოვიდნენ და გაყიდეს?

– 2004 წელს შოთა დიდებაშვილმა დაწერა – საამქრო დაურეგისტრირეთ ვასილ თურქიშვილსო. მისი განმარტებით, საფუძვლად დაედო გარდაბნის რაიონის გამგეობის ბრძანება, სადაც მითითებულია, რომ ლიკვიდირებულ „საქმიან ეზოებში“ ჩვენი ეზო მოხსენიებული არ იყო და ექვემდებარებოდა შესყიდვა-პრივატიზებას, ანუ ჩვენ უნდა შეგვესყიდა. ამის შესახებ ჩვენ არ ვიცოდით. ხომ უნდა ეცნობებინათ, რომ საპრივატიზაციო ობიექტი იყო?! 1999 წელს ჩვენ დავირეგისტრირეთ და 2004 წელს ამ ადამიანმა საკუთრება გაგვიყიდა. ესენი არიან კრიმინალები!

– ბესიკ კახაბრიშვილი ამ თაღლითურ სქემაში რა პერიოდში ჩაერთო?

– თავიდანვე ჩაერთო და ქონება გადაუფორმა თურქიშვილს. კახაბრიშვილს რამდენჯერაც დავურეკე, მაგინა. კახაბრიშვილმა პირადად ამოიყვანა მუშები და დაშალა-გაყიდა იქაურობა. კახაბრიშვილი არის თაღლითი! სოფელ სააკაძეში მას ქარხანა აქვს გაქურდული, ეს დაფიქსირებულია. ცუდი ავტორიტეტით სარგებლობს. ის როგორ შეიძლება იყოს გამგებელი?

– რას წარმოადგენდა ბესიკ კახაბრიშვილი იმ დროს, როცა თქვენი ქონება ამ ჯგუფმა გადაიფორმა, ვისზეც საუბრობთ?

– არაფერს წარმოადგენდა. ეგ იყო ერთი თავზეხელაღებული ადამიანი.

– პროკურატურაში საჩივარი შეიტანეთ?

– 5 თვის წინათ შევიტანე. სიმართლეს დავამტკიცებ. მათ წესიერი ლაპარაკი არ შეუძლიათ. რამდენჯერაც დავრეკე, იმდენჯერ მაგინეს!

– დღეს ვის ხელშია ბლოკის საამქრო?

– კახაბრიშვილმა გაძარცვა ბოლომდე. იქ არაფერი აღარ არის დარჩენილი. გადაფორმებული აქვს ვასილ თურქიშვილს. რომ დამხვრიტონ, ამას მაინც ვიტყვი. ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს თმის ღერიც რომ ჩამოუვარდეს, კახაბრიშვილს ვადებ ხელს!

იმის გამო, რომ საამქრო წაგვართვეს, მოგვიანებით ბინის გაყიდვა დამჭირდა. მეუღლეს მკურნალობა სჭირდებოდა, შვილებს – სწავლა. ბინა ჩავდე და დავკარგე... ამ ყველაფერზე ყველას პასუხს ვაგებინებ! ყველას დავაჭერინებ!

* * *

კახაბრიშვილსა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ეთნიკური შუღლის გაღვივების მცდელობაში ასევე ადანაშაულებდა „ნაციონალური მოძრაობის“ გარდაბნის ორგანიზაციის ხელმძღვანელი რამინ ბაირამოვი. საუბარია 2013 წლის 28 მაისს მომხდარ შეტაკებაზე ადგილობრივ სვანებსა და ეთნიკურ აზერბაიჯანელებს შორის, რომლის ინიციატორიც და დამგეგმავიც „ნაციონალური მოძრაობა“ და გიგი უგულავა იყო.

ყველაფერი კი ასე წარიმართა:

28 მაისს გარდაბნის რაიონში ახალგაზრდებს შორის ჩხუბი მოხდა. ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი ჩხუბი იყო, ისეთი, როგორიც, ალბათ, საქართველოს ყველა კუთხეში ხდება ხოლმე, მაგრამ ინციდენტს საინტერესო გაგრძელება მიეცა. ჩხუბი ოთხ ახალგაზრდას შორის ღამის 12 საათზე დაიწყო და უკვე 2 საათში გარდაბანი ბრძოლის ველს დაემსგავსა – ორასამდე ახალგაზრდა ერთმანეთისკენ იწევდა, შუაში კი რუსთავის სპეცდანიშნულების რაზმის წევრები იდგნენ.

რამინ ბაირამოვი

მეორე დღეს უკვე ხუთასამდე აზერბაიჯანელი ახალგაზრდა გამოვიდა ქუჩაში და, თუ ისინი ჯერ ჩხუბის მონაწილეების დასჯას მოითხოვდნენ, შემდეგ ეს მოთხოვნა შეცვალეს, ავტომობილებზე აზერბაიჯანის დროშები გამოჩნდა და დემონსტრანტებმაც „აზერბაიჯან-აზერბაიჯან“-ის სკანდირებით ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს. გავრცელდა ინფორმაცია, აზერბაიჯანელები გარდაბანში სვანების დასახლების დარბევას აპირებენო და დასახლების შესასვლელთან უკვე სვანები შეიკრიბნენ. სპეცდანიშნულების რაზმმა დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთთან არ მიუშვა. ამის შემდეგ აზერბაიჯანელები, რომლებსაც ხელში ხელკეტები და ხანჯლები ეჭირათ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბისკენ დაიძრნენ, ითქვა, რომ ისინი შტაბის დარბევას აპირებდნენ. პოლიციამ „ქართული ოცნების“ წევრებს შტაბის დატოვება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო.

„მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლები არა ვართ, არც ერთი ჩვენი აქტივისტი არც 28 მაისს, ღამით, და არც ახლა დაპირისპირებაში არ მონაწილეობს; ჩვენ გვჯერა აზერბაიჯანელების კეთილგონიერების და ამიტომ შტაბში ვრჩებით“, – ასეთი იყო პასუხი და... აზერბაიჯანელმა დემონსტრანტებმა „ოცნების“ შტაბთან მშვიდად ჩაიარეს.

რაც შეეხება უშუალოდ კონფლიქტსა და მის ორგანიზატორებს, არავინ მალავს, რომ ჩხუბი მართლაც მოხდა, მაგრამ ვერავინ ხსნის, საიდან გაჩნდა ღამის 12 საათზე ხელკეტებით შეიარაღებული 200 ახალგაზრდა და ერთ-ერთი ტელევიზია („რუსთავი-2“) ინციდენტის ადგილზე, აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს წინ „ნაციონალური მოძრაობის“ გარდაბნის ორგანიზაციის თავმჯდომარე და პროპორციული სიის პირველი ნომერი, ყოფილი პარლამენტარი რამინ ბაირამოვი მიუძღოდა. მეორე დღესაც პროცესებს ბაირამოვი აკონტროლებდა და თბილისიდან გიგი უგულავასა და გიგა ბოკერიას ჩასვლას ელოდა, მაგრამ...

„სიტუაცია უმართავი გახდა, ვერაფერს ვეღარ ვაკონტროლებ, მიშველეთ!“ –გაჰკიოდა ბაირამოვი ტელეფონში, როცა 500-მდე აქტივისტმა პოლიტიკური მოთხოვნა ფეხებზე დაიკიდა და „აზერბაიჯან-აზერბაიჯან“-ის ყვირილი დაიწყო. უგულავამ და ბოკერიამ, როგორც სხვა შემთხვევაში, ახლაც „ივაჟკაცეს“ და ავტომობილი რუსთავიდან მიაბრუნეს. გავეშებულ მოსახლეობას კი ბაირამოვი შერჩა ხელში, რომელსაც არავინ აღარაფერს ეკითხებოდა. შტაბის წინ ბაირამოვი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა თავის ხელმძღვანელობას, მერე კი გარდაბნის რაიონის გამგებლობის კანდიდატ ბესიკ კახაბრიშვილს დაურეკა, მაგრამ მდულარე ქვაბში ჩახტომა არც კახაბრიშვილმა ისურვა და გარდაბნის ცენტრს არ გაეკარა. ამან ბაირამოვი სულ გააცოფა, ახლა კახაბრიშვილი „მოიკითხა“ და ისიც გაიხსენა – ეგ კაცი ქურდობისთვის არის ნასამართლევი, ციხეში იჯდაო. საბოლოოდ, ახალგაზრდები ადგილობრივმა უხუცესებმა დაშალეს და მეორე დღეს, ყოველგვარი პოლიტიკური აქტივობის გარეშე, 28 მაისის ჩხუბის მონაწილეები შეარიგეს.

ახლა კი რამინ ბაირამოვსა და ბესიკ კახაბრიშვილზე მოგახსენებთ. პარლამენტში ყოფნის პერიოდში მისი სახელი „ჰუმან რაითს ვოთჩის“ ანგარიშშიც მოხვდა. საქმე რამინსა და მის მამას გამბარ ბაირამოვს შეეხებოდა. გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში მცხოვრები მამედ რაჯაბოვი დღემდე ამტკიცებს, რომ ციხეში მყოფი შვილის შეწყალების სანაცვლოდ, გამბარ და რამინ ბაირამოვებს 18 ათასი დოლარი გადაუხადა, მაგრამ შვილი საპყრობილიდან ვერ დაიხსნა. ბაირამოვის სახელს უკავშირდება სოფელ ქესალოში არსებული მძიმე სიტუაციის გასაშუქებლად ჩასული „პირველი არხის“ ჟურნალისტის ცემა, რასაც „ჰუმან რაითს ვოთჩის“ წარმომადგენლები შეესწრნენ.

– სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების გარდაბნის სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა შოთა დიდებაშვილმა, მექრთამემ და ორჯერ ნასამართლევმა, ჩვენი ქონება გადაუფორმა კახაბრიშვილს, ხოლო კახაბრიშვილმა – ვასილ თურქიშვილს. დაიტაცეს ყველაფერი, რაც კი იყო ჩვენი ოჯახის კუთვნილი საამქროში! თუ უნდა, მის საქმეში არ ჩავერიო, დააბრუნოს წართმეული ქონება!

საიდან გაჩნდა ღამის 12 საათზე ხელკეტებით შეიარაღებული 200 ახალგაზრდა და ერთ-ერთი ტელევიზია („რუსთავი-2“) ინციდენტის ადგილზე, აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს წინ „ნაციონალური მოძრაობის“ გარდაბნის ორგანიზაციის თავმჯდომარე და პროპორციული სიის პირველი ნომერი, ყოფილი პარლამენტარი რამინ ბაირამოვი მიუძღოდა.

მამა-შვილ ბაირამოვების სახელს უკავშირდება რაიონის მასშტაბით არსებული მაღაზიებისა თუ სხვა ობიექტების დატერორება. აზერბაიჯანელი მეწარმეები დღესაც არ ფარავენ, რომ ბაირამოვის პარლამენტარობის პერიოდში, ყოველი არჩევნების წინ ხარკს იხდიდნენ და ამ ხარკის ამკრეფი პირადად გამბარ ბაირამოვი იყო.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ბაირამოვს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებთან ურთიერთობა დაეძაბა, რადგან საჭირო დროს ის, პრაქტიკულად, მარტო დატოვეს და მოსახლეობის რისხვის ობიექტად აქციეს. რამინი ხვდება, რომ არჩევნების შემდეგ მას, შესაძლოა, გარდაბნის ქუჩებში გასვლის პრობლემაც კი შეექმნას – ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნას აზერბაიჯანელები არ აპატიებენ. სწორედ ამიტომ ის „ნაციონალებს“ უსაფრთხოების გარანტიებს სთხოვს და საკუთარ ოფისში, პრაქტიკულად, აღარ ჩნდება. დაგეგმილი პროვოკაციის ჩავარდნის შემდეგ კი რამინს თბილისიდან აშკარად აღარ სწყალობენ.

რაც შეეხება დღეს გარდაბანში არსებულ სიტუაციას, ვითარება, ერთი შეხედვით, მშვიდია, თუმცა „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ აძტიურად ემზადება ეთნიკური შუღლის გაღვივებისთვის და სწორედ ამ მიზანს ემსახურება კრიმინალი კახაბრიშვილის კანდიდატად წარდგენა.

marshalpress.ge

ახლახან მეწარმეთა ოცნების ცაზე კიდევ ერთი ვარსკვლავი აკიაფდა. ლაპარაკია საქართველოში საგადასახადო სისტემის ესტონური მოდელის დანერგვაზე, რომლის ინიციატივა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ეკუთვნის. ამ მოდელის არსი ის გახლავთ, რომ მოგების რეინვესტირების შემთხვევაში, კომპანიები მოგების გადასახადს აღარ გადაიხდიან. მოგება მხოლოდ მისი განაწილების, დივიდენდად გაცემის შემთხვევაში დაიბეგრება.

რა სიკეთეს მოუტანს ბიზნესს მოგების გადასახადისგან გათავისუფლება? ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ რეფორმის საშუალებით, ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო პოლიტიკა ჩამოყალიბდება. რეფორმის განხორციელება დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში, ხელს შეუწყობს ფინანსურ რესურსებზე კომპანიების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთა როლი ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდაში წინა რეჟიმების ხელისუფალთა პოლიტიკამ კატასტროფულად შეამცირა.

ქვეყნის ეკონომიკის აღმასვლისათვის წამოწყებულ ამ ინიციატივასთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ვთხოვეთ რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარეს ანზორ საკანდელიძეს. ბატონი ანზორი ხომ წლების მანძილზე თავკაცობდა თავის მიერვე დაარსებულ „თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციას“ (ამჟამადაც არის მისი იურიდიული სამართალმემკვიდრე) და სილრმისეულად იცნობს ამ დარგის გასაჭირსა თუ სატკივარს.

რას მოგვიტანს ესტონური მოდელის საქართველოში დანერგვა?

— ბატონო ანზორ, როგორ შეაფასებდით პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის ამ ახალ ინიციატივას?

— რა თქმა უნდა, დადებითად, ოღონდ რამე ეშველოს ამ ჩვენს წყალწაღებულ მცირე და საშუალო მეწარმეობას, თორემ მის საწინააღმდეგოდ ენა როგორ შემომიტრიალდება. გახმაურებული ესტონური მოდელის მიხედვით ჩვენი საგადასახადო სისტემის რეფორმირება მართლაც მისასალმებელი იქნება, მაგრამ...

— მაგრამ (ვაწყვეტინებ) რა არ მოგწონთ მასში, ბატონო ანზორ?

— ფრაგმენტული რეფორმირება. როგორც მოვისმინე, ესენი აპირებენ საგადასახადო კოდექსში ფრაგმენტული ცვლილებების შეტანას და არა მის მთლიან რეფორმირებას.

— მერედა, ამაში ცუდი რა არის?

— ცუდია სწორედ ეს ფრაგმენტული რეფორმირება. ჩვენ დღეს იმდენად ცუდი საგადასახადო კოდექსი გვაქვს, რომ მისი მხოლოდ ფრაგმენტული რეფორმირებით რაიმე ხელშესახებ ეკონომიკურ ზრდას ვერ მივაღწევთ. ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოვიდეთ იმ ილუზიებიდან, რომ გვაქვს კარგი საგადასახადო კოდექსი. ალბათ, ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ ამ 10-15 წლის წინათ რას პასუხობდა ბიზნესმენი გოგი თოფაძე ჟურნალისტებს შეკითხვაზე: მალავს თუ არა გადასახადებს? **დიახ ვმალავ, აბა რას ვშვრები, — აცხადებდა ის, — რომ არ დავმალო, რა გადაიხდის ამხელა გადასახადებს?!**

ანზორ საკანდელიძე: საგადასახადო კოდექსის მხოლოდ ფრაგმენტული რეფორმირება ხელშესახებ შედეგს ვერ მოგვცემს

დიახ, პარლამენტარი გოგი თოფაძე თურმე სისტემატურად მალავდა და, ალბათ, დღესაც მალავს გადასახადებს. უფრო მეტიც, გადასახადებს მალავს პროდუქციის მწარმოებელი ყველა ქარხანა, ფაბრიკა თუ საამქრო. თუ არ დამალავ, 1997 წელს მიღებული და დღემდე მოქმედი საგადასახადო კოდექსი აუცილებლად გაგაკოტრებს.

ვინმეს გაუანალიზებია, ამ საგადასახადო კოდექსის პირობებში დღემდე პროდუქციის მწარმოებელი სახელმწიფო, ანუ სახაზინო საწარმოები მასობრივად რატომ კოტრდებიან? იმიტომ, რომ ამ საწარმოთა დირექტორები დაპატიმრების შიშით არ რისკავენ და არ მალავენ გადასახადებს. აი, კერძო საწარმოთა თავკაცები კი მიდიან ამ რისკზე.

ჰოდა, როცა ასეთი გარდაუვალი გაკოტრების მოლოდინში არიან პროდუქციის მწარმოებელი მსხვილი საწარმოები, წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებიან საგადასახადო ტვირთით მათთან გათანაბრებული მცირე სამრეწველო საწარმოები, რომელთა თავის გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება მხოლოდ ჩრდილოვან ეკონომიკაში თანამონაწილეობა? სწორედ ასეთმა ცუდმა საგადასახადო კოდექსმა დაამკვიდრა საქართველოში 2009 წელს ავსტრიული კომპანია „ეობსერვიზის“ მიერ ოფიციალურად გაცხადებული 68-პროცენტიანი, 2012 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ასევე ოფიციალურად გაცხადებული 72-პროცენტიანი და ქართველი ექსპერტების მიერ (დემურ გიორხელიძე, თამაზ ვაშაკიძე) დადასტურებული კიდევ უფრო მაღალი 78-პროცენტიანი ჩრდილოვანი ეკონომიკა (!).

— ამდენი „ჩრდილოვანიდან“ გამომდინარე, თქვენ კონკრეტულად რას ურჩევდით ბატონ გიორგი კვირიკაშვილს?

— ვურჩევდი, როგორმე გამონახოს დრო და პირადად გაეცნოს ამ 40 დღის წინათ მთავრობის მრჩეველთა საბჭოში წარდგენილ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის, აკადემიკოს ლეო ჩიქავას ხელმძღვანელობით ჩვენს მიერ დამუშავებულ და დაპატენტებულ სამეცნიერო-მეთოდურ ნაშრომს „საქართველოს ანტიკრიზისული ხუთწლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია-პროგრამას“, რომლის პირველ თავში განხილულია საგადასახადო რეფორმების საკითხები. ვფიქრობთ, პრემიერი, მისი მაღალი ეკონომიკური ერუდიციიდან გამომდინარე, მხარს დაუჭერს ჩვენს მიერ შეთავაზებული იმ რადიკალური საგადასახადო რეფორმების გატარებას, რასაც საქართველოში პრეზიდენტის ეკონომიკურ მრჩევლად მოწვეული, მთელ მსოფლიოში გახმაურებული ესტონური ეკონომიკური რეფორმების მამამთავარი მარტ ლაარი 2006 წელს აპირებდა საქართველოში. ეს იყო საგადასახადო ტვირთის განახევრება, რისი განხორციელების უფლებაც არ მისცა ბატონ ლაარს მაშინდელმა საკაშვილ-ნოღაიდელის ანტიეროვნულმა მთავრობამ. ეს რეფორმა თუ არ განხორციელდა, პრემიერ-მინისტრის ახალ ინიციატივასაც კრახი ემუქრება, რადგან მოგების გადასახადის რეინვესტირებით შექმნილი ახალი სამრეწველო საწარმოებიც, მაღალი საგადასახადო ტვირთის გამო, გაკოტრების რეჟიმში ჩადგებიან.

კვლავ დიდ მოგებას ნახავენ მხოლოდ ბანკირები და მსხვილი იმპორტიორები, რომლებიც მოგების გადასახადის რეინვესტირებით კიდევ უფრო გაზრდიან თავიანთ მაფიოზურ-კლანურ მონოპოლიურ ბიზნესებს სახელმწიფოსათვის არგადახდილი მოგების გადასახადების ხარჯზე. რაც მთავარია, ეს რეფორმა ფაქტობრივად არ შეეხებათ მცირე მეწარმეებს, რომლებსაც დღევანდელი საგადასახადო კოდექსით მოგება საერთოდ არ რჩებათ, ან თუ რჩებათ, ისეთი მიზერულია, რომ ჩიტი ბდღვნად არ ღირს და მოგების რაიმე რეინტეგრირებაზე საუბარიც კი ზედმეტია. ამ ფრაგმენტული რეფორმით არაფერი შეიცვლება, ჩვენი საგადასახადო კოდექსი კიდევ უფრო გაამდიდრებს მდიდრებს და კიდევ უფრო გააღარიბებს ღარიბებს.

— მაშინ ის გვითხარით, ბატონო ანზორ, რის გაკეთებას გვთავაზობთ?

— ჩემი აზრით, თავი უნდა შევიკავოთ ასეთი ფრაგმენტული საგადასახადო რეფორმებისგან. და თუ მაინც განვახორციელებთ, ის უნდა შეეხოს მხოლოდ სამრეწველო ბიზნესს, სადაც ერთი დასაქმებული ყოველგვარი ინვესტიციების მოუზიდავად არასამრეწველო ბიზნესებში ავტომატურად დამატებით ქმნის 5-6 სამუშაო ადგილს. საერთოდ კი, თუ გვინდა რეალურად ვიფიქროთ ეკონომიკის აღმავლობაზე, უნდა დავიწყოთ მზადება ახალი საგადასახადო კოდექსის მისაღებად, რადგან კარგი საგადასახადო კოდექსი ეკონომიკის მდგრადი განვითარების გასაღებია.

აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ პრემიერი კვირიკაშვილი გამოაცხადებს კონკურსს საუკეთესო საგადასახადო რეფორმების პროექტზე. ჩვენ ასეთ კონკურსში აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას ზემოთ ნახსენები ჩვენეული პროექტით, სადაც არსებული საგადასახადო კოდექსისგან განსხვავებით, ჰარმონიულად არის შერწყმული მცირე და მსხვილი მეწარმეების ბიზნესინტერესები. და რაც მთავარია, საგადასახადო განაკვეთები მკვეთრად დიფერენცირებულია როგორც სამეურნეო (მრეწველობა, ვაჭრობა, მომსახურება), ისე ტერიტორიულ ჭრილში.

სწორად გვირჩევდა მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ფიშერი: **„2-ჯერ შეამცირეთ საგადასახადო ტვირთი და ბიუჯეტში 3-ჯერ გაგეზრდებათ საგადასახადო შემოსავლები“.** კარგი საგადასახადო რეფორმების ჩატარებით ამის მიღწევა ნამდვილად შესაძლებელია.

მკითხველო, თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონმა ანზორ საკანდელიძემ ეს ფრთიანი აზრები ვითომ ტყუილად გადმოალაგა? არა მგონია. მინდა დავიჯერო, რომ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც თავად გახლავთ საგადასახადო კოდექსის რეფორმირების ინიციატორი, მასში მეცნიერების, სპეციალისტების, საერთოდ საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობის არც ერთ შემთხვევას ურეაგირებოდ არ დატოვებს.

ოთარ ხუციშვილი

◎ ინფორმაცია

რამდენად ეფექტურად იხარჯებოდა ეროვნული ბანკის რეზერვები?

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა რეზერვების ხარჯვის შესახებ სებ-იდან ინფორმაცია გამოითხოვა. „მაინტერესებს, როგორ იხარჯებოდა რეზერვები და როგორ აისახებოდა ეს ლარის კურსზე — რეზერვები, რომელიც გაიყიდა ამ პარასკევს. მაინტერესებს, რამდენად ეფექტურად დაიხარჯა ეს რეზერვები“, — აღნიშნა დეპუტატმა და დასძინა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალზე მთავრობა ეროვნულ ბანკთან ერთად მუშაობს.

ტყემალაძე ქადაგიძესა და მის ჯგუფს პარლამენტში იბარებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ პარლამენტმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიში უნდა მოისმინოს. „საქართველოში ძალიან ემოციური ხალხი ვართ და ყველაფერზე აჟიოტაჟს ვტეხთ ხოლმე. ეს აჟიოტაჟი რაღაც მოვლენებზე ხანდახან უარყოფითად მოქმედებს. იცით, რომ ეროვნული ბანკის 2014 წლის ანგარიში კომიტეტებში მოვისმინეთ და ის ფართო განხილვის საგანი იყო. ჩვენს კომიტეტში მოსმენა 7 საათი მიმდინარეობდა. მიმაჩნია და აუცილებელიც არის, რომ პარლამენტმა ანგარიში მოისმინოს. ეს არ არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ანგარიში, ეს არის ეროვნული ბანკის საბჭოს ანგარიში და ის შეიძლება წარმოადგინოს პრეზიდენტმაც და არაპრეზიდენტმაც. აქედან გამომდინარე, პირადად მომხრე ვარ და მოხარული ვიქნები, რომ სანამ გიორგი ქადაგიძე თანამდებობას დატოვებს, მოვიდეს და მისი მოსმენა მოხერხდეს. ახლა საგაზაფხულო სესია იწყება, ბევრი საკითხია დაგროვილი, მათ შორისაა პრეზიდენტის მოსვლა და, ბუნებრივია, ეს შეთანხმების საკითხია. გადაწყვეტილება პარლამენტის ბიურომ უნდა მიიღოს“, — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

„პოლიპრინტი“ ფრთებს შლის

სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კომპანია „პოლიპრინტი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით საწარმოო შესაძლებლობებს გააფართოებს.

შპს „პოლიპრინტი“ სტიკერებისა და ეტიკეტების ბეჭდვაზეა ორიენტირებული და პოლიგრაფიულ მომსახურეობას სთავაზობს მომხმარებელს. კონკრეტულად კომპანიის საქმიანობა მოიცავს არაგოფრირებული ქაღალდის ან არაგოფრირებული მუყაოსგან ყუთების, კოლოფების და დასაკეცი კოლოფების წარმოებას. კომპანია პროექტის ფარგლებში ახალი დანადგარების შეძენასა და წარმადობის გაზრდას გეგმავს.

კომპანიაში დასაქმებულია 40 ადამიანი, დამატებით კიდევ 10 სამუშაო ადგილის შექმნა იგეგმება. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ჯამური ინვესტიციის ღირებულება 400 000 აშშ დოლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ კომპანია ეფექტურ და ხარისხიან მომსახურებას უწევს საქართველოში არსებულ უმსხვილეს საწარმოებს და სამომავლოდ კონკურენტუნარიანობისა და ბაზარზე წილის ზრდას, ასევე თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას გეგმავს.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

◎ საბანკო სფერო

რა არის იქ, „შვიდწლიან ზღურბლს“ მიღმა?

(მეორე გვერდიდან) ყველაფერი ეს შარშან წლის მეორე ნახევარში მოხდა, მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა საქართველოს პარლამენტს მაისში 2014 წლის ანგარიში წარუდგინა და რომელიც, კანონმდებლობის შესაბამისად, მას უნდა განეხილა და შეეფასებინა, თუმცა კი, ეს პროცედურა დღემდე არ ჩატარებულა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის **თამაზ მეჭიაურის** განცხადებით, ეს პროცედურა რამდენჯერმე გადაიდო — ერთხელ ეროვნული ბანკის თხოვნით, ორჯერ კი კვორუმის არარსებობის გამო. ამასობაში კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის **გიორგი ქადაგიძის** ამ პოსტზე მუშაობის შვიდწლიანი ვადა თებერვალში სრულდება.

როგორც აღვნიშნეთ, პარლამენტს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი 2014 წლის ანგარიში არ განუხილავს, თუმცა კი შესაბამის კომიტეტებში მასზე მსჯელობა გაიმართა და, მათი წინასწარი დასკვნების თანახმად, იგი არასრულყოფილია. მართალია, კომიტეტებში საკითხის განხილვა, არსებითად, უმრავლესობისა და უმცირესობის დეპუტატებს შორის უფრო პოლიტიკურ „საქმის გარჩევას“ ჰგავდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, პარლამენტი მაინც ვალდებულია, აღნიშნული ანგარიში თავის სხდომაზე განიხილოს, რადგან ის ერთადერთი ორგანოა, რომლის წინაშე ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია. ამდენად, **ქვეყნის საფინანსო სფეროში ყველა წარმატებასა თუ მარცხზე პასუხისმგებლობა, ეროვნულ ბანკთან ერთად, პარლამენტსაც ეკისრება.** მაგრამ, მას შემდეგ, რაც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური პოლიტიკისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტებმა ეროვნული ბანკის ანგარიშს მხარი არ დაუჭირეს, ის „თაროზე შემოდებული იმტვერება“.

არადა, თავად ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე სხვა აზრისაა. იგი გაკვირვებულია იმის გამო, თუ რატომ არ სურთ დეპუტატებს ანგარიშის მოსმენა, მით უმეტეს, რომ, **„(ეროვნული ბანკის)“ ყველა პროგნოზი გამართლდა. პოსტსაბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლები საქართველოში გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოდიან. ამიტომ ეს** (პარლამენტი — **ო.ტ.**) **უნდა იყოს მთავარი ტრიბუნა, სადაც განვიხილავთ ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ საკითხს... იმედს გამოვთქვამ, რომ თებერვლის პირველივე კვირაში მოხდება ეროვნული ბანკის ანგარიშის მოსმენა“.**

მართალია, ჯერჯერობით უცნობია, განიხილავს თუ არა პარლამენტი თებერვალში ეროვნული ბანკის ანგარიშს, რა შეფასებას მისცემს მას, მაგრამ მანამდე ზოგიერთ იმ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც ქვეყანაში საფინანსო ატმოსფეროზე ახდენს გავლენას. ლაპარაკია იმ პირობებისა და რეკომენდაციების შესრულება-შეუსრულებლობაზე, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა დადო ან ავტორიტეტული საფინანსო ინსტიტუტების ექსპერტებისგან მიიღო.

თავდაპირველად კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამთ იმ გარემოებას, რომ **ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობაზე პასუხისმგებლები ქვეყანაში არიან როგორც ეროვნული ბანკი, ასევე პარლამენტიც და მთავრობაც, ბანკის ანგარიშის შეფასებაც სწორედ ამიტომაა საჭირო.** ამასთან, იმის მიუხედავად, რომ ბატონი ქადაგიძე იმით იწონებს თავს, რომ „ეროვნულ ბანკის ყველა პროგნოზი“ გამართლდა (ეს რა, ყავაზე ან ბანქოთი მარჩიელობა ხომ არაა!), სპეციალისტები მას მთელ რიგ პრეტენზიას უყენებენ. მათგან **ერთ-ერთი ისაა, რომ დღემდე შექმნილი არ არის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი. მეორე, რომ მას შემდეგ, რაც ეროვნულ ვალუტას სერიოზული პრობლემები შეექმნა, მან უკვე სამი წელია, შეწყვიტა ფინანსური სტაბილურობის ანგარიშების გამოქვეყნება; მესამეა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს გაუმართავი მუშაობა, რის გამო კომერციული ბანკები მომხმარებლის რეალურ გადახდისუნარიანობას ჯეროვნად ვერ აფასებენ (თუმცა კი ისიცაა, რომ ამ მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებებია შემოსატანი, რაზეც მუშაობა მიმდინარეობს); ეროვნულ ბანკში დღემდე არ არის შექმნილი ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომლის დანიშნულება ფინანსური პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება იქნება; ჩამოყალიბებული არ არის საბანკო სისტემის კონტრაციკლური საკაპიტალო ბუფერების რეჟიმი; არ ამოქმედდა მსესხებელთათვის სესხებისა და კაპიტალის გრძელვადიანი ღირებულების ადეკვატურობის, აგრეთვე გადასახადებისა და შემოსავლის პარიტეტის პრინციპები.**

ყოველივე ამისა და ზოგიერთი სხვა გარემოების გამო, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საბანკო სფეროში (და არა მარტო იქ) იქმნება უმძიმესი მდგომარეობა, რასაც დროულად შეფასება და სათანადო ზომების დასახვა სჭირდება, რაც ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლაში შეუწყობს ხელს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ გვეამაყება!

უნივერსალი

ორი მუზის მსახურიო, სწორედაც რომ ქალბატონ თამარ ბაკურაძეზეა ნათქვამი. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის სახელოვანი რექტორის, აკადემიკოს ოთარ ბაკურაძის ქალიშვილმა უმაღლესი განათლება ჯერ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მიიღო ფსიქოლოგის სპეციალობით, ხოლო შემდეგ — ვანო სარაჯიშვილის სახელობის დედაქალაქის სახელმწიფო კონსერვატორიაში ფორტეპიანოს განხრით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის კურსდამთავრებულის, ფსიქოლოგიის დოქტორის, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორისა და ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსის, 30 სამეცნიერო ნაშრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორის დამსახურებებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თანაც, წიგნიერი საზოგადოება, თუნდაც, ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს მის მიერ განვლილი ნაყოფიერი სამეცნიერო და ცხოვრებისეული გზის ძირითად ეტაპებს.

ამ მცირედი, გულწრფელი სტრიქონებით ღირსეული ოჯახის სამაგალითო წარმომადგენელს კიდევ ერთ ლამაზ თარიღს ვულოცავთ — დღეს ხომ მისი დაბადების დღეა.

იდღეგრძელეთ, ქალბატონო თამარ, თქვენი ძვირფასი მონაგარის და მეგობრების საკეთილდღეოდ.

გია პლატონიშვილი

◎ ვინ როგორ ხედავს?

ხადურმა რომ სამჯერ ჭამა თიკანი, ლარის ინფლაცია ამას არ გამოუწვევია...

„ის, რომ პოლიტიკოსობა არ არის სპეციალობა, მთლად სწორი არ არის. პოლიტიკას გარკვეული გამოცდილება სჭირდება. ძალიან ბევრი ისე მოხვდა პარლამენტში, რომ ეს გამოცდილება არ ჰქონდათ“, — აცხადებს FORGE-სთან საუბრისას ფსიქოლოგი ზურაბ ბიგვავა, რომლის განცხადებით, ამომრჩეველი კომპეტენტური ხალხის მოთხოვნებს აყენებს, რაც „ქართულმა ოცნებამ“ აუცილებლად უნდა გააკეთოს, სხვა შემთხვევაში შეიძლება სერიოზული პრობლემა შეიქმნას.

— ბატონო ზურაბ, დღეს საქართველოში არის ისეთი საკადრო რესურსი, რომელიც იმუშავებს ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების მიმართულებით?

— რა თქმა უნდა, არის. ძალიან ბევრმა ადამიანმა მიიღო სერიოზული და თანამედროვე განათლება. ჩვენ გვჭირდება თანამედროვე განათლების ადამიანები.

— მაგრამ ამ ადამიანების არჩევანი არის „ქართული ოცნება“? ანალიტიკოსები ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ უკვე აღარ არის ბრენდი, შესაბამისად, ამ რესურსის ადამიანებისთვის მიმზიდველი არ არის „ქართული ოცნება“...

— სისულელეა. რა გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ეს წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოჩნდება. როცა ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „ოცნება“ ბრენდი არ არის, მაშინ, ძალიან მაინტერესებს რომელია ბრენდი? მართალი გითხრათ, არ მესმის, რა არის ბრენდის დეფინეცია. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ყველაზე მიმზიდველი იქნება „ქართული ოცნება“. ძალიან საინტერესო ადამიანები იქნებიან „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში. სიაში იქნებიან ადამიანები, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა, ბევრი რამ შეცვალონ და კეთილდღეობის გზაზე დააყენონ ქვეყანა.

— ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია ბევრად კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტდება, ვიდრე 2012 წელს იყო?

— დარწმუნებული ვარ, წინასწარი სია უკვე არსებობს. 2012 წელს „ქართულ ოცნებას“ რეალურად ამის დრო არ ჰქონდა. არ იყო დრო, მოძებნილიყო ეს ხალხი, რომ ერთმანეთთან დაემყარებინათ კომუნიკაცია. გახსოვთ, რა ვითარება და ზეწოლა იყო. სულ სხვა პოლიტიკური გარემო იყო. ამიტომ ძალიან ბევრი ადამიანი იმის გათვალისწინებით მოხვდა ხელისუფლებაში, პროტესტს როგორ გამოთქვამდა. ახლა ამის დრო არ არის. საზოგადოება ამ თვალსაზრისით წინ წავიდა და ძალიან სერიოზული მოთხოვნა დააყენა. ამომრჩეველი აყენებს კომპეტენტური ხალხის მოთხოვნებს, რაც „ქართულმა ოცნებამ“ აუცილებლად უნდა გააკეთოს, სხვა შემთხვევაში, შეიძლება პრობლემა შეიქმნას.

„ქართული ოცნების“ როგორც პოლიტიკური ძალის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ამ ადამიანებთან მოლაპარაკებებზე. საკმაოდ წინ არის წასული ეს პროცესი. ვფიქრობ, რომ იმ ადამიანების დიდი რაოდენობა, რომლებიც „ქართული ოცნების“ სიაში იქნებიან, უკვე არიან საქმის კურსში. შესაბამისად, მზად არიან.

— ბატონო ზურაბ, თქვენ იცით, ვინ არიან „ქართული ოცნების“ გუნდის ახალი წევრები?

— კონკრეტულად არ ვიცი, მაგრამ რომ ვიცოდე, არ მაქვს უფლება გარკვეული გვარები გავაჟღერო. ვიცი, რომ ბევრ ადამიანთან არის კონსულტაციები და ეს იცის ყველამ. საქართველოა, ვიღაცა ვიღაცის ნათესავია, ვიღაცის ახლობელია და დაახლოებით, იცის ხალხმა, როგორ ადამიანებს არჩევდნენ. შეიძლება ვიღაცას არ მოეწონოს და თქვას ცნობადი სახე, ან საყვარელი ტიპი რატომ არ არისო.

საყვარელი ტიპი უნდა ვნახოთ სტადიონზე და კინოში. პარლამენტში უნდა მივიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საქმის გაკეთება. სწორედ რომ, ამის დეფიციტი იყო წინა პარლამენტში. ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებას“ ღირსეული საპარლამენტო შემადგენლობა ეყოლება და დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.

— როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ ისევ კოალიციით წარსდგება ამომრჩევლის წინაშე? არსებობს ინფორმაცია, რომ „რესპუბლიკური პარტია“ და „ეროვნული ფორუმი“ დატოვებენ კოალიციას...

— არ მგონია. „რესპუბლიკელებს“ არ აწყობთ კოალიციიდან გასვლა და არც აპირებენ. ზოგიერთი წევრის გარდა, კოალიციას არც ერთხელ არ უთქვამს, რომ „რესპუბლიკურ პარტიასთან“ გარკვეული პრობლემები აქვთ. მგონია, რომ შეთანხმდებიან, რესპუბლიკელებსაც ექნებათ თავისი შესაბამისი კვოტა. ვიღაცა შეიძლება გავიდეს კოალიციიდან და იყო საუბარი, რომ შეიძლება ფორუმი გავიდეს. თუ ფორუმი გავა, ამით კოალიცია არ დაიშლება.

აუცილებლად კოალიციური იქნება ეს ძალა. ამ სახით იქნება, თუ ცოტა განსხვავებული სახით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. პრინციპები და ღირებულებები, რითიც მოვიდა ეს ძალა ხელისუფლებაში, იგივე დარჩება, მაგრამ შეიცვლება ადამიანების საკმაოდ დიდი პროცენტი როგორც აღმასრულებელ, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებაში. კოორდინირებული იქნება ხელისუფლების მართვის მექანიზმი. იცით, რატომ ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს? — საბედნიეროდ ჩვენი ამომრჩეველი გახდა უფრო კომპეტენტური.

— იმის მიუხედავად, რომ კრიტიკული პიარია „ქართული ოცნების“ მიმართ?

— ძირითადად კრიტიკული არიან ადამიანები, რომლებიც „ქართულ ოცნებასთან“ იყვნენ, მაგრამ რაღაცა არ მოეწონათ და დღეს მასთან არ არიან, ყველამ ვერ აისრულა თავისი ოცნება. ეს ხალხია კრიტიკული და ეს არის 5-10%, მოსახლეობის 90% კი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ამომრჩეველი დაფიქრდება, ინფლაცია გამოწვეულია იმით, რომ ხადურმა სამჯერ ჭამა თიკანი, თუ სხვა რამით. იფიქრებენ სწორად და ყურადღებას არ მიაქცევენ ხადურის ციკანს და რაღაცა სისულელეებს, რასაც წერს ოპოზიციური პრესა თუ ტელევიზია აცხადებს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲔᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ „ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ“ ᲤᲝᲜᲖᲔ

ᲓᲦᲔᲡ, როდესაც მთელი მსოფლიოს ლიბერტარიანული ნაწილი, აშშ-ის მეთაურობით, მართლმადიდებელი რუსეთის წინააღმდეგ არის „აჯაგრული“, შინაური თუ გარეშე „ცხელი თავები“ ხელების ფშვნეტით ელიან რუსეთის იმპერიის დაშლა-დაქუცმაცებას, რაც იმათთვის, ვინც ისტორია „საყველპურო“ დონეზე მაინც იცის, ცხადია, შეუძლებელი რამ არის — ე.წ. კიევის რუსეთიდან მოყოლებული, პეტრე პირველის 300-წლოვანი იმპერიით გაგრძელებული, ვიდრე სტალინის მიერ შექმნილი წითელი იმპერიით დამთავრებული, ყველა საშუალებებით ებრძოდნენ რუსეთს, ერთი-ორჯერ (ნაპოლეონი და ჰიტლერი), წააჩოქეს კიდეც და ჰა და ჰა, თითქოს დაჩოქებული უნდა წაქცეულიყო და პოლიტიკური რუკიდანაც უნდა გამქრალიყო, მაგრამ ღვთის განგებითა და შეწევნით, დაჩოქებული ჯერ ფეხზე წამოიმართებოდა, ხოლო შემდეგ ადრინდელზე მეტი ძალმოსილებით აგრძელებდა ცხოვრებას!

ასე იყო რომანოვების მართლმადიდებელი მონარქიის და სტალინის ბოლშევიკური „მონარქიის“ დროს და ასე იქნება ხვალაც, „დიქტატორული რუსეთის“ შემთხვევაში, რომელიც დღეს, ესეს, არის ფეხზე წამოაყენა ვლადიმერ პუტინმა და უკვე შიშის ზარს სცემს რუსეთის გუშინდელ დამჩოქებლებს!

ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ — მასონურ ძალებს, რუსეთის, როგორც ასეთის, არსებობა არ უნდათ, მიუხედავად იმისა, მონარქიული იქნება ის, ბოლშევიკური, დემოკრატიული თუ დიქტატორული... აქედან გამომდინარე, რუსეთთან დაპირისპირების მიზეზ-საბაბი, როგორც იტყვიან, ყოველთვის თითიდან გამოწოვილი იყო გუშინ და არის დღეს!

თავი და თავი იყო და არის ის უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც რუსეთის იმპერიას უკავია და ამ ტერიტორიაზე არსებული, პრაქტიკულად ამოუწურავი ბუნებრივი რესურსები.

აშშ-ის ყოფილმა სახმდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ამის შესახებ პირდაპირ განაცხადა, რომ თურმე დიდი უსამართლობა ყოფილა ის, რომ მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების 40% მხოლოდ რუსეთს ეკუთვნისო(?!)

ამ ქალბატონმა ეს განცხადება 2012 წელს გააკეთა, როდესაც ვლადიმერ პუტინს მესამე ვადით ირჩევდნენ და მაშინ ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატმა პუტინმა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, როგორც სჩვევია, პირდაპირი ტექსტით უპასუხა ამ გამოხდომას — რუსეთი თავის ტერიტორიებს ისე დაიცავს, რომ რაიმეს დათმობაზე ოცნება კი არა, ფიქრიც კი დაივიწყეთო!

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲛᲐ ᲧᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲘᲚᲝ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ ᲛᲐᲘᲓᲐᲜᲘ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ, ᲠᲘᲗᲘᲪ ᲐᲛ ᲝᲠᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲘ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ (ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲗᲣ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ) ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲖᲔ ᲡᲐᲛᲙᲕᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲙᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ!

თუ არ ვცდები, ზბიგნევ ბჟეზინსკის გამონათქვამია, რომ რუსეთი, უკრაინასთან ერთად, გლობალური პრობლემაა დასავლეთისთვის, ხოლო უკრაინის გარეშე, მხოლოდ რეგიონალური(?!) (ჩემი მხრივ, გამონათქვამს დავუმატებ, რომ რუსეთი, ბელარუსი და უკრაინა ის სამი გოლიათია, რომლებზედაც სწორებას აკეთებენ სლავური ტომის სხვა, მართლმადიდებელი ერები)

მაგრამ მიუხედავად სისხლიანი მაიდნის მოწყობისა, დასავლეთს კი არა, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, აშშ-ის კიევურ პასიანსში „რამსები“ აერია, რადგან დონბასსა თუ ლუგანსკში, ანუ ძირითადად ეთნიკური რუსებით (რომელთა რაოდენობა მთელი უკრაინის მასშტაბით 20 მილიონია) დასახლებულ ინდუსტრიულ (!) რეგიონებში, რომ იტყვიან, ფეხი არ ჩაუვიდა და უფრო მეტიც, ვლადიმერ პუტინმა ისარგებლა მომენტით და ფილიგრანული ქმედებებით, სრულიად უსისხლოდ მიიერთა სევასტოპოლი და ყირიმი, რითიც ისტორიული სამართლიანობა აღადგინა, რადგანაც ერთიც და მეორეც ყოველთვის რუსეთის შემადგენელი სუბიექტები იყვნენ და სულ ტყუილად ღნავიან დასავლელი პოლიტიკოსები, რადგანაც ამას უკვე აღარაფერი ეშველება...

მითუმეტეს, ეკონომიკური სანქციებით, ევროსაბჭოში ხმის უფლების ჩამორთმევით, რომლებიც ყირიმ-სევასტოპოლის პასუხად დაუწესა დასავლეთმა (აშშ) რუსეთს, რადგანაც პუტინს (წაიკითხე, რუს ხალხს) ერთიცა და მეორეც, უკაცრავად და სულ ფეხებზე ჰკიდია!

ᲧᲘᲠᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘ ᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, ᲛᲘᲜᲣᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲣᲭᲐ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲔᲑᲘ ᲗᲣ Ე.�წ. ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝᲔᲑᲘ!

უბრალო რუსს, თუნდაც მშიერ-ტიტველს, მცირე აუგსაც ვერ დააცდენინებ საკუთარი პრეზიდენტის მიმართ და სულ ტყუილი იმედი აქვთ, რომ სანქციების, რუბლის გაუფასურების გამო რუსები ხვალ წითელ მოედანზე გამოვლენ იაფი ძეხვის, მითუმეტეს დემოკრატიის მოთხოვნით და ზეგ პუტინი გაიქცევა მოსკოვიდან!

მითუმეტეს იმ პრეზიდენტს არ უგანებენ რუსები, რომელმაც გაგანია ეკონომიკური სანქციების მიუხედავად, სირიაში პრაქტიკულად მცირე მასშტაბის (ჯერჯერობით) მესამე მსოფლიო ომი გააჩაღა, სადაც ერთ მხარეს მარტოდმარტო ერთი მართლმადიდებელი რუსეთია და მეორე მხარეს — ლგბტ-ს რელსებზე შეუქცევადად შემდგარი მთელი დასავლეთი!

ერთხელ, პრესკონფერენციაზე, სადაც, რომ იტყვიან „შააღონეს“ რუსეთის პრეზიდენტი დასავლეთის ნეოლიბერალებმა, რატომ რუსეთშიც ტაშ-ფანდურის თანხლებით არ ტარდება გეიაღლუმები, ეგ რა დემოკრატიაა, ვლადიმერ პუტინმა — ჩვენ ჩვენი სუვერენული დემოკრატია გვაქვს და მორჩაო!

მართლაც, მოხდენილი პასუხია — რაც ევროპა-ამერიკის პედერასტულ ოაზისებში ნორმაა, ის არ მოსულა რუსეთში და საქართველოში!

ასევეა ყველა ქვეყანა და არა მხოლოდ ლგბტ-ს თვალსაზრისით...

ისე, სულ ცოტა, უხერხული მგონია, რომ რუსეთს დემოკრატიის ნაკლებობაზე ამუნათებდეს ის ამერიკა, რომლის სტრატეგიული მოკავშირეები რეგიონში არიან საუდის არაბეთი, იემენი, ყატარი და ა.შ. ანუ ისეთი დემოკრატიული „ოაზისები“, სადაც ქალები დღესაც ჩადრებით დადიან და ავტომობილის მართვის უფლებაც კი არ გააჩნიათ, მაგრამ რას იზამ, როგორც ერთი ამერიკული „ანდაზაა“, ის ძაღლისშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილიაო...

სწორედ იმიტომ, რომ ამერიკის ძაღლის შვილობა მობეზრდათ, „სუვერენული დემოკრატიები“ (ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმები) დაუნგრიეს ამერიკელებმა ერაყში სადამ ჰუსეინს, ლიბიაში — კადაფის, ეგვიპტეში — მუბარაქს თუ ტუნისში — ბენ ალის და ა.შ. და სწორედ ე.წ. არაბული გაზაფხულების „დემოკრატიების“ შედეგია ის საშინელება, რასაც ისლამური ხალიფატი და მისგან გამოქცეული მილიონობით ლტოლვილი ჰქვია, რომლებმაც უკვე წალეკეს მაძღარ-დავარცხნილი ევროკავშირი, რომელიც, ანალიტიკოსთა აზრით, უახლოეს მომავალში შეიძლება დაიშალოს!

რუსეთის არ ვიცი, უფრო სწორად ვიცი, რომ რაც არ უნდა დაიშალოს, იმდენი მაინც დარჩება, რომ საკუთარ თავს მიხედოს, მაგრამ აი, თუ რუსეთმა კავკასიაში დაკარგა გავლენა, გნებავთ, „სუვერენული დემოკრატია“, რის მეშვეობითაც აკავებს, აკონტროლებს ჩრდილოკავკასიელ მუსლიმებს, ანუ პოტენციურ ისლამისტ ტერორისტებს, აი, მაშინ მოგეცათ ლხენა ქართველებო — ისლამური ხალიფატი აქ, საქართველოში გვექნება წარმოუდგენლად მძიმე შედეგებით!

ყოველ შემთხვევაში ევროკავშირი, როგორც იდეა, უკვე აღარ არსებობს, რადგან ტერორიზმის შიშით აკანკალებულმა ე.წ. შენგენის ქვეყნებმა საზღვრების აღდგენა-გამკაცრებაზე დაიწყეს საუბარი და არა მხოლოდ საუბარი — უნგრეთმა ახალი ბერლინის კედლები აიშენა საკუთარი საზღვრების პერიმეტრზე!

ᲰᲝᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜᲡ „ᲞᲠᲐᲓᲕᲘᲜᲣᲢᲔᲑᲡ“ ᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲡᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐ?

ᲖᲔᲛᲝᲗ, ᲛᲔ ᲛᲒᲝᲜᲘ, ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲨᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲓᲐᲕᲣᲨᲕᲐᲗ, ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲠᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ?

ᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ — ᲠᲐᲪ ᲡᲡᲠᲙ-Ს ᲓᲐᲨᲚᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲐᲙᲚᲝ, ᲘᲛᲐᲡ ᲨᲔᲒᲕᲘᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲨᲚᲐ!

რუსეთის არ ვიცი, უფრო სწორად ვიცი, რომ რაც არ უნდა დაიშალოს, იმდენი მაინც დარჩება, რომ საკუთარ თავს მიხედოს, მაგრამ აი, თუ რუსეთმა კავკასიაში დაკარგა გავლენა, გნებავთ, „სუვერენული დემოკრატია“, რის მეშვეობითაც აკავებს, აკონტროლებს ჩრდილოკავკასიელ მუსლიმებს, ანუ პოტენციურ ისლამისტ ტერორისტებს, აი, მაშინ მოგეცათ ლხენა ქართველებო — ისლამური ხალიფატი აქ, საქართველოში გვექნება წარმოუდგენლად მძიმე შედეგებით!

რუსეთის დაშლის შემთხვევაში (ფუი, ეშმაკს), ეს რომ ასე იქნება და არა სხვაგვარად, ისევე ნაღდია, როგორც ის, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები ჩვენც გვირტყამს და პირველ რიგში სწორედ ამის ბრალია ლარის გაუფასურება და არა ხელისუფლების (მაგას თავისი ცოდვებიც ეყოფა) უნიათობის!

ყოველწლიურად 2-3 მილიარდი დოლარი შემოდიოდა საქართველოში რუსეთიდან იქ მცხოვრები ქართველების ფულადი გზავნილების სახით და, ბუნებრივია, რომ რუბლის გაუფასურების გამო იმდენს ვეღარ უგზავნიან საკუთარ ნათესავებს, როგორც ადრე!

ჰოდა, ჩვენს „პრადვინუტებს“ ვეკითხები ზემოთ დახატული აპოკალიფსური შესაძლო მომავლის გამო, ოღონდ ნოდარ დუმბაძის ილიკო ჩიგოგიძის ენით: თუ ქვეყანა ინგრევა, შენ რა გიხარია, შენ აბდალო, სიხარულის კურცხალი მომდისო, რომ ჩივი?

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲬᲘᲚᲝᲑᲘᲬᲘᲚᲝᲗ, ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠ ᲮᲐᲚᲘᲤᲐᲗᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲡᲘᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲡᲘᲠᲘᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘ ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲪᲮᲔᲚᲘ, ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲚᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲗᲣ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲔᲑᲐᲢᲔᲑᲘ, ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲝᲛᲘᲐ, ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲣᲬᲜᲔᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲜᲔᲝᲑᲐᲡ, ᲦᲛᲔᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲦᲛᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲧᲕᲜᲘᲚ ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲛᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ!

პირველისთვის მებრძოლი მხოლოდ რუსეთია, ხოლო მეორე მხარე, ანუ აშშ, იძულებულია, საკუთარივე პირმშო, ისლამური ხალიფატი ბომბოს „ლაითად“...

ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲙᲘ, ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲑᲡ ᲨᲔᲔᲙᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲝᲦᲝᲜᲓᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲨᲐᲚᲝᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲨᲔᲒᲕᲘᲫᲚᲘᲐ ᲨᲘᲜᲐᲣᲠ „ᲞᲠᲐᲓᲕᲘᲜᲣᲢᲔᲑᲡ“ ᲗᲣ ᲒᲐᲠᲔᲣᲚ ᲮᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲕᲣᲫᲐᲮᲝᲗ — ᲕᲔᲠ ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲕᲘᲗ!

რუსეთი, ევროკავშირის დაშლის თუ არა, ამ იდეის კრახის ფონზე ახლა ქმნის ევრაზიულ კავშირს და, ქართველებო, დავფიქრდეთ, სად ურჩევნია საქართველოს, ევროპული ღირებულებების დასავლეთში, რაც, პირველ რიგში, ერთსქასიან ქორწინებებს, ცოდვის დაკანონებას ნიშნავს თუ ერთმორწმუნე რუსეთის ეგიდით შექმნილ ევრაზიულ კავშირში, სადაც ეკონომიკურის გარდა,

სხვა, გაცილებით ღირებული სარგებელი გველის — შევინარჩუნებთ მართლმადიდებლობას (წაიკითხე, ქართველობას), ეროვნულ თვითმყოფადობას და სოხუმ-ცხინვალის დაბრუნების შანსს!..

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲣᲨᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲛᲙᲘᲗ

„ᲩᲕᲔᲜ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ, ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲔᲖᲝᲑᲚᲣᲠᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲘᲥᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲬᲔᲕᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲣᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲪ. ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲣᲬᲔᲕᲗ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ. ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲕᲘᲬᲧᲕᲔᲢᲐ“, — ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲚ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ.

გარდასულ დროთა ლიტერატურული მემატიანე

შალვა რადიანი ერთი იმ თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი იყო, სალიტერატურო ასპარეზზე ორი ეპოქის მიჯნაზე რომ გამოვიდა...

ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების კორიფეები: ნიკო ნიკოლაძე, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი...

მათთან ახლო ნაცნობობით, ბუნებრივია, ბატონი შალვა ღრმად შეიგრძნობდა გარდასული კლასიკური საუკუნის სურნელსა და ეპოქის ანალიტიკური განსჯის კონტექსტებს...

მოგვიანებით მისი უახლოესი მეგობრები გახდნენ – გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი...

ასეთ პიროვნებას, მოგონებების გარდა, სხვა რომ არაფერი დაეწერა, იგი მაინც ეროვნული ლიტერატურის თვალსაჩინო ფიგურა იქნებოდა...

შალვა რადიანი XX საუკუნის ერთი პირველი პროფესიონალი კრიტიკოსი გახლდათ... მეცნიერი-ლიტერატურათმცოდნე, სხვებთან ერთად ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის სისტემური მეცნიერული კურსის მესაფუძვლე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ლექტორთაგანი...

საგულისხმოა, რომ იგი იმ თაობის წარმომადგენელი იყო, ურთულეს ეპოქაში რომ მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა...

და მაინც, მიუხედავად ამ ბრუტალური დრო-ჟამისა და მისგან პროვოცირებული ცდომილებებისა, შალვა რადიანი XX საუკუნის ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში დამკვიდრდა როგორც საუკუნის მწერლობის ერთი ყველაზე პირუთვნელი შემფასებელი...

მრავალრიცხოვანი წიგნების ავტორი იყო იგი და ისინი მისი უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების თვალსაჩინო ილუსტრაციებს წარმოადგენდნენ...

ორმოც წელს გადაცილებულმა თავისი განვლილი ცხოვრების გზა „აღწერა“, იხელმძღვანელა რა ბენვენუტო ჩელინის ცნობილი სენტენციით – „ყოველი დარგის ადამიანმა, რომელიც მისთვის რაიმე სასახელოს მოიმოქმედებს, თვითვე უნდა აღწეროს საკუთარი ცხოვრება... თუმცა, ასეთი კეთილი საქმე არ უნდა დაიწყო, სანამ ორმოც წელს არ გადასცილდები“...

მოგონებათა წიგნს სწორედ ეს სიტყვები წარუმძღვარა ბატონმა შალვამ...

მის უმდიდრეს არქივში მოიპოვება მრავალი უნიკალური ისტორიული დოკუმენტი... XX საუკუნის ცნობილ მწერალთა ავტოგრაფები, პირადი ბარათები, მოგონებათა ჩანაწერები...

ეს საარქივო მასალა, ცხადი გამოხატულებაა შალვა რადიანის პიროვნული დიაპაზონისა, მისი რეზონანსული მოღვაწეობის მასშტაბებისა...

ძალზე სიმპტომურია მისი ახლომეგობრული ურთიერთობა გალაკტიონთან, ამ ეულ, მარტოსულად „განწირულ“ გენიოსთან...

„ჩემს ძვირფას ძმას, ჩვენს ოქრო შალვას“ – ასეთი წარწერა გაუკეთებია პოეტს მეგობრებისადმი მიძღვნილი საკუთარი პორტრეტისათვის... აქვეა გალაკტიონის ასამდე ლექსის ავტოგრაფი, ერთად აკინძული წარწერით: „ძღვნად ძვირფას შალვას – მეგობარს, დიდი სიყვარულით“...

არქივში ინახება თვით პოეტის მიერ შედგენილი „გალაკტიონის ცხოვრება და შემოქმედება“, გალაკტიონისავე ხელით ჩასწორებული...

მისი არქივის „ღირსშესანიშნაობას“ წარმოადგენდნენ გიორგი ლეონიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას – ბატონი შალვასადმი მიძღვნილი, მეგობრობის ამსახველი ფოტოები, წერილები, დეპეშები...



მის მოგონებათა წიგნში „ცოცხლდებიან“ დიდ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სახეები, მათი განუმეორებელი ადამიანური სილუეტები: – **„ნიკო ნიკოლაძე პირველად ვნახე ქართველ მწერალთა ყრილობაზე... ერთი შეხედვით ცხადი ხდებოდა XIX საუკუნის 60-იანი წლების უკანასკნელი მოჰიკანის სიბრძნე და გონიერება... ეცვა თეთრი შალის კიტელი და შარვალი, რაც ფრიად უხდებოდა მის ბიბლიურ გარეგნობას“...**

„ვასილ ბარნოვი ფრესკიდან ჩამოსულ წმინდანს ჰგავდა... გრძელი წვერები, სუფთა, დაწმენდილი და გამხდარი სახე, საშუალო სიმაღლის, თხელი ტანისა, დინჯად, დაბალი ხმით საუბრობდა ყოველთვის, სიარულიც აუჩქარებელი იცოდა... ქუჩაში გამოდიოდა სათვალით, მუდამ ჯოხით ხელში და „კატელოკის“ ქუდით“...

„დავით კლდიაშვილი გარეგნულად არ იყო დიდი შთაბეჭდილების მომხდენი: პატარა ტანის, თხელი კაცი იყო, ეცვა სამხრეებმოხსნილი სამხედრო ტანსაცმელი“...

საგულისხმოა ისიც, რომ ის პირველად შეხვედრია უცხოელ დიდ მწერლებს: მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ანდრეი ბელის, ბორის პასტერნაკს, ასევე

პატარა შალვა რადიანი, მისი მშობლები, ბიძა მეუღლით და დები. 1910 წ.

არტურ ლაისტს, იოჰან ბეჰერს, ლუდვიგ რენს, ალფრედ კურელასა და სხვებს...

მისი ძალთახმევით გამოიცა გიორგი ერისთავის, რაფიელ ერისთავის, იროდიონ ევდოშვილის, ვასილ ბარნოვისა და სხვა ქართველ კლასიკოსთა თხზულებანი...

სხვებთან ერთად იღვწოდა ალექსანდრე ყაზბეგის პირველი აკადემიური ხუთტომეულის გამოსაცემად...

ჭეშმარიტად უნიკალურია ბატონი შალვას საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიაპაზონი:

იყო „მნათობის“, „დროშის“, „პროლეტარული მწერლობის“, „ჩვენი თაობის“, „ლიტერატურული გაზეთის“ მთავარი რედაქტორი...

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი... ანუ უთვალსაჩინოესი აქტორი ერის კულტურული ცხოვრებისა...

შემდგომში, ცნობილი არაერთი მეცნიერი-ლიტერატურათმცოდნე ბატონ შალვას იგონებს, როგორც უაღრესად გულისხმიერ მეცნიერ-ხელმძღვანელს, რომელიც გულისყურით ადევნებდა თვალს მათ პროფესიონალურ ზრდას... იგონებენ იმასაც, რომ იგი არ ჰგავდა ჭარბი პატივმოყვარეობით აღბეჭდილ მეცნიერ-ხელმძღვანელებს, რომლებიც ახალგაზრდებში უპირველესად ერთგულ „მიმდევართა“ აღზრდას ცდილობდნენ...

ასე და ამგვარად იცხოვრა და იღვაწა XX საუკუნის ამ უაღრესად ნაყოფიერმა კალმოსანმა, მოღვაწემ და პიროვნებამ...

ამ კონტექსტში, კულტურული მეხსიერების ამ რაკურსში მოვიაზრებ შალვა რადიანის ინტელექტუალურსა და პიროვნულ აბრისს...

და კიდევ:

შალვა რადიანი

თანამედროვეთათვის კარგად იყო ცნობილი მისი ყოფიერების ერთი ოდენ სევდიანი „ნარატივი“, რომელმაც დროთა განმავლობაში რომანტიკული „რემინისცენციის“ კონოტაციები შეიძინა...

საუბარია ბატონ შალვას პირველი მეუღლის, ულამაზესი ქალბატონისა და უზადო მთარგმნელის, უდროოდ გარდაცვლილი ქეთევან ირემაძის არამიწიერ სუბსტანციაზე...

მისი ნათელი ხსოვნის იმ ნეტარ განცდაზე, ქეთევანის უმშვენიერესი პორტრეტის სახითაც რომ სუფევს დღესაც რადიანების ღირსეულ ოჯახში...

იგი, დიდის მოწიწებით, ხელუხლებლად შემოინახა მისმა მეორე დიდმა სიყვარულმა, მისი ვაჟიშვილების დედამ, უსათნოესმა მერი გომართელმა...

მეუღლის თაყვანისმცემელმა და ცხოვრების თანამგზავრმა...

ამიტომაც სრულიად კანონზომიერია, საპრეზენტაციოდ წარმოდგენილ წიგნში მისი პიროვნების და ზოგადად მისი ცხოვრების ფართო პლანით წარმოდგენა და საგანგებო აქცენტირება...

საერთოდ კი ეს მეტად საგულისხმო და მრავლისმეტყველი წიგნი ერის სულიერების ისტორიის ძნელბედობის ჟამის იმ კარდინალურ კონტექსტებს ფენს ნათელს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ XX საუკუნის ეროვნული კულტურის ჭეშმარიტი რენესანსული უნივერსალიზმი...

წარმოვიდგინოთ კოლოსალური შემოქმედებითი იმპულსების ის უცნობი თუ გადავიწყებული „ნაკვთები“, სულიერი ინსტიქტები, სუბლიმაციები და სურეალისტური ანტინომები, რომელთა ინსპირაციითაც იქმნებოდა ის ლიტერატურული კულტურა, რომლის ძლევამოსილი ნათელი უცილობელ ღირსებად აღიბეჭდება ქართულ მწერლობას, ეროვნული სულიერების დიალექტიკურ პროცესებს...

P. S.

XX საუკუნის ლიტერატურაზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ ტრაგიკული ტეხილებით აღბეჭდილი ისტორიული რეალობა და მის პირქუშ სივრცეში მიმდინარე ლიტერატურული აქტივობის სრულიად ახალი სუბიექტი – საბჭოთა ლიტერატურის სახით...

ლიტერატურული საქმიანობის დეპერსონალიზაციიდან, კასტურობისა და ეტიკეტის ინსტიტუციონალიზმამდე – აი, დიაპაზონი იმ ბერკეტებისა, რომელთაც საბჭოური ლიტერატურული პოლიტიკა ფლობდა და ახორციელებდა...

მხოლოდ ამგვარად გახდება ჩვენთვის საცნაური იმ გლობალური კულტურული „ექსპერიმენტის“ არსი, რომელიც ინფერნალური წიაღიდან „იშვა“ და ერის სულიერი კულტურის განვითარების ახალ ფაზასა და გენერაციებს მისცა დასაბამი.

ლიტერატურული პროცესების ონტოლოგიური აღქმა მომავალში კიდევ უფრო ცხადად წარმოაჩენს ამ უნიკალური საუკუნის ნეოკლასიცისტური ინოვაციების „წიაღში“ დაუნჯებულ „ტრაგიკომიკურ“ მისტერიებს...

დაბოლოს:

ჩემი ამ ფრაგმენტულ რეცეფციათა წარმოდგენის სურვილი შალვა რადიანისადმი მიძღვნილმა წიგნმა – „გარდასულ დროთა მატიანემ“ აღმიძრა...

წიგნის, რომლის შექმნისა და გამოცემის ინიციატორი მისივე ბრწყინვალე ოჯახია, რედაქტორი – ცნობილი ლიტერატორი ქალბატონი ციანა გენძეხაძე, ხოლო დამფინანსებელი ბატონი ვანო ჩხარტიშვილი და ქალბატონი ნანა გოთუაა...

უღრმეს პატივისცემას გამოვხატავ მათ მიმართ, ამ ღირსახსოვარი ჩანაფიქრის ესოდენ ჩინებული დაგვირგვინებისათვის.

გურამ გენაშვილი

ქვეყანა: საქართველო
პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: P147348
პროექტის სახელწოდება: ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტი
ინფორმაცია სესხის თაობაზე: IBRD 83770

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ტიპი	მოითხოვება ინტერესის გამოხატვა
მიმსახურების ხაანგარიშგები ნომერი	IDA/TGSP/CS/QCBS/02-2015
ტენდერის აღწერა	500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და დაკავშირებული 500კვ ქს „წყალტუბო“ მშენებლობის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების და პირველადი დიზაინისთვის საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა
განცხადების ენა	ინგლისური
ხაანგარიშგო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	15 თებერვალი, 2016
ადგილობრივი დროით	17:00
მესაფოდი პროდუქციის შერწყლული კოდი კატეგორიების მიხედვით	
საკონტაქტო ინფორმაცია განცხადებასთან დაკავშირებით	
ორგანიზაცია/დეპარტამენტი	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
საკონტაქტო პირი	მაია ფიცხელაური
ოთახი/ფანჯარა	საერთაშორისო პროექტების და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი
მისამართი	საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქ.№2
ქალაქი	თბილისი
პროვინცია/შტატი	
საფოსტო კოდი	0105
ქვეყანა	საქართველო
ტელეფონი	+995 322 510 263
ფაქსი	+995 322 510 202
ელ. ფოსტა	maya.pitskhelauri@gse.com.ge
ვებგვერდი	www.gse.com.ge

დეტალური ინფორმაცია განცხადებასთან დაკავშირებით

ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტი; პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი: P147348

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისგან (WB) მიიღო სესხი „ელექტროგადაცემის ქსელის გაუმჯობესების პროექტის“ დასაფინანსებლად. სესხის ნაწილი მოხმარდება 500კვ ელექტროგადამცემი ხაზისთვის „ჯვარი-წყალტუბო“ და დაკავშირებული 500კვ წყალტუბოს ქვესადგურის მშენებლობის პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინისთვის საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტით გათვალისწინებულ გადახდებს.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) ტენდერში მონაწილეობაზე უფლებამოსილ კომპანიებს იწვევს 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და დაკავშირებული 500კვ წყალტუბოს ქვესადგურის მშენებლობის პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინისთვის საკონსულტაციო მომსახურების ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შემოთავაზებული ელექტროგადამცემი ხაზი ემსახურება სამ ძირითად მიზანს:

— ზოგადად, საქართველოს ენერგოსისტემის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაზრდა; შეფერხებების, გათიშვების, საავარიო გამორთვების რაოდენობისა და მიუწოდებელი ელ.ენერგიის შემცირება;
— დაახლ. 1150 მგვტ ელ.ენერგიის ევაკუაცია ხუდონის, ნენსკრას და მესტიის ჰიდროელექტროსადგურებიდან, აგრეთვე, დამატებითი 850 მგვტ ელ.ენერგიის ევაკუაცია ცხენისწყლის კასკადის, ნამახვანის კასკადის ჰიდროელექტროსადგურებიდან და ალპანას ჰიდროელექტრო სადგურიდან;
— საქართველოს შიდა ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდა 1000-1200 მგვტ-ით.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის ზოგად მიზანს წარმოადგენს შემოთავაზებული სხვადასხვა ალტერნატიული სქემის ტექნიკური, ფინანსური და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება, ასევე, პირველადი დიზაინის (ტექნიკური სპეციფიკაციის) მომზადება, რომლის საფუძველზეც დამქირავებელი/განმახორციელებელი კონსულტანტი შეძლებს სატენდერო დოკუმენტაციის შედგენას საერთაშორისო ღია ტენდერისთვის, ახალი 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ჯვარი-წყალტუბო“ და ახალი 500 კვ ფრთის მშენებლობისთვის ქვესადგურში „წყალტუბო“.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა ხუთი (5) თვე, დაწყების თარიღი 2016 წლის მაისი.

სსე იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო ფირმებს („კონსულტანტები“) „მომსახურების“ გაწევაზე ინტერესის გამოსახატად. დაინტერესებულმა „კონსულტანტებმა“ უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება „მომსახურების“ გასაწევად. მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

- კონსულტანტის არანაკლებ 15-წლიანი გამოცდილება ელექტროენერგიის გადაცემისა და დისტრიბუციის სექტორში და ძირითადი პერსონალის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების დაგეგმვაში, პროექტირებაში, დიზაინში, შეფასებასა და მშენებლობაში;
- კონსულტანტს უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი საერთაშორისო გამოცდილება გადაცემის სისტემის პროექტებში, მათ შორის, ელექტროგადამცემი ხაზების (ეგხ) პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების მომზადებაში, ეგხ-ის და ქვესადგურის დიზაინის, მარშრუტის შემუშავების, ელექტროსისტემის ანალიზის, ხარჯების შეფასების, ფინანსური ანალიზისა და გადაწყვეტილებების შეფასების ჩათვლით; ბოლო 5 წლის განმავლობაში (ე.ი. 2010 წლის იანვრის შემდეგ) მსგავსი საკონსულტაციო კონტრაქტების შესრულების გამოცდილება. შეფასება განხორციელდება შესაბამისი საკონსულტაციო კონტრაქტების ღირებულებისა და რაოდენობის კომბინაციის მიხედვით.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის *ინსტრუქციების — „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში)“* (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“, 2014 წლის ივლისის შესწორებული გამოცემა) — 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა ფირმებთან (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე). ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს.

დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას №1 ფორმის სახით, რომელიც ატვირთულია სსე-ს ვებგვერდზე და თან ერთვის ინტერესის გამოხატვაზე აღნიშნულ მოწვევას. http://www.gse.com.ge/new/?p=5136&lang=en#more-5136

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა სასურველია არ აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება „კონსულტანტის კვალიფიკაციისა და ფასის“(QCBS) მეთოდის საფუძველზე, რომელიც მოცემულია *მსოფლიო ბანკის მსესხებლებისთვის გაცემული IBRD-ის სესხებითა და IDA-ს კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში კონსულტატების შერჩევის და დაქირავების (იანვარი 2011 წელი, შესწორების თარიღი 2014 წლის ივლისი) შესახებ მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო ინსტრუქციების* II ნაწილში.

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მოცემულ მისამართზე, სამუშაო საათებში — 10:00-დან 18:00 სთ-მდე, სსე-ს საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტში, ტელეფონის ნომერზე: +995 322 510 263, საკონტაქტო პირი: ქ-ნი მაია ფიცხელაური, საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი, ელ.ფოსტა: maya.pitskhelauri@gse.com.ge; maka.gelashvili@gse.com.ge.

ინტერესთა გამოხატვის შესახებ წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, ქვემოთ მოცემულ მისამართზე (პირადად, ფოსტით, ფაქსით, ან ელ-ფოსტით, არა უგვიანეს ინტერესის გამოხატვის დოკუმენტის მიღების ბოლო ვადისა) 2016 წლის 15 თებერვლის 17:00 სთ-მდე.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
ქ-ნ მაია ფიცხელაურს, საერთაშორისო პროექტებისა და ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქუჩა №.2
ტელ: .: +995 322 510 263 (264)
ფაქსი: +995 32 2 510 101;
ელ.ფოსტა: maya.pitskhelauri@gse.com.ge;
maka.gelashvili@gse.com.ge.

დედამიწის ზურგზე

ლატვიის თავდაცვის სამინისტრომ შესთავაზა მოსწავლეებს, მოიფიქრონ ბრიტანელი ჯავშანტრანსპორტიორებისთვის უფრო ლატვიური სახელები

ამჟამად იმ საბრძოლო მანქანების ხუთ მოდელს, რომლებსაც ლატვიის ეროვნული შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის აწვდის დიდი ბრიტანეთი, ეწოდებათ უცხოური სახელები. ლატვიის თავდაცვის სამინისტროში სურთ, რომ მოსწავლეებმა მოიფიქრონ საბრძოლო მანქანებისათვის უფრო ლატვიური სახელწოდებები.

ვარშავა ამზადებს კანონპროექტს, რათა დაუბრუნოს სამშობლოში საბჭოთა პერიოდში დეპორტირებული პოლონელები

ვარაუდობენ, რომ ახალი კანონი, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს წლის მეორე ნახევარში, შეეხება 10 ათას კაცს. წინასწარი მონაცემებით, რეპატრიანტებს შეუძლიათ იქონიონ იმედი ბინის არენდაზე და დახმარებაზე ნახევარი წლის განმავლობაში ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ.

ავსტრალიის ხელისუფლებამ გამოუშვა გაფრთხილება ზიკას ვირუსთან დაკავშირებით

ქვეყნის მოქალაქეებს მოუწოდებენ თავი შეიკავონ 22 ქვეყანაში სტუმრობაზე, სადაც დაფიქსირებულია ვირუსის ეპიდემია. მათ კი, ვისაც არ შეუძლია, უარი თქვას გამგზავრებაზე, ურჩევენ მიიღონ გამაფრთხილებელი ზომები, რათა ისინი არ დაკბინონ კოღოებმა, რომლებიც ინფექციის გადამტანები არიან.

ნორვეგიის პოლიციამ გაათავისუფლა 80-ზე მეტი ლტოლვილი, რომლებიც უნდა გაესახლებინათ რუსეთში

პოლიციის წარმომადგენელმა არილდ სტრომენმა გა-

Country: Georgia
Project Id: P147348
Project Name: Transmission Grid Strengthening Project
Loan Info.: IBRD 83770

General Information	
Notice Type	Request for Expression of Interest
Borrower Bid Reference	IDA/TGSP/CS/QCBS/02-2015
Bid Description	Consulting Services for Preparation of Feasibility Study and Preliminary Design for 500kV Jvari-Tskaltubo Overhead Transmission Line and associated substation
Language of Notice	English
Deadline for Application Submission Date	15-Feb-2016
Local Time	17 : 00
Selected category codes for product to be procured	
Contact Information on Advertisement	
Organization/Department	Georgian State Electrosystem JSC
Name	Mrs. Maya Pitskhelauri
Title	Head of International Projects & Reporting Department
Address	2, Baratashvili Street
City	Tbilisi
Province/State	Georgia
Postal Code	0105
Country	Georgia
Phone	+995322510263
Fax	+995322510202
Email	maya.pitskhelauri@gse.com.ge
Website	www.gse.com.ge

Detailed Information for Advertisement

TRANSMISSION GRID STRENGTHENING PROJECT; Project ID P147348

Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Transmission Grid Strengthening Project, and intends to apply part of the proceeds for consulting services for preparation of Feasibility Study and Preliminary Design for 500kV Jvari-Tskaltubo Overhead Transmission Line and Associated 500kV Substation in Tskaltubo.

Georgian State Electrosystem JSC (GSE) is now seeking expressions of interest from potential providers of consulting services for preparation of Feasibility Study and Preliminary Design for 500kV Jvari-Tskaltubo Overhead Transmission Line and Associated 500kV Substation in Tskaltubo.

The proposed transmission line serves three main purposes:

- Increasing of stability and security of supply of overall Georgian System, for both existing and future situations, eliminate of bottlenecks, blackouts, number of emergency outages and energy not supplied;
- Evacuation of about 1150 MW from Khudoni, Nenskra and Mestia region HPPs, as well as additional 850 MW from Tskhenistskali Cascade, Namakhvani Cascade HPPs and AlpanaHPP;
- Increasing transfer capacity of internal Georgian network by 1000-1200 MW.

Thus, the overall objective of the Feasibility Study and Preliminary Design is to assess technical, financial and economic feasibility of the different proposed alternative schemes, and prepare the preliminary design (technical specification) so that the Employer/Implementation Consultant can prepare the tender documents for international public bidding, for construction of a new 500kV OHTL Jvari-Tskaltubo and of a new 500 kV switchyard in SS Tskaltubo.

The tentative duration of the assignment is 5 months, commencing from May, 2016.

GSE now invites eligible consulting firms ("Consultants") to express their interest in providing the Services. Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The shortlisting criteria are:

. General experience of the Consultant with not less than 15 years of experience in the power transmission and distribution sector and key personnel with more than 10 years of experience in planning, design, development, assessment and construction of Extra High Voltage (EHV) transmission lines and substations;

. The consultant shall have extensive international experience in preparation of feasibility studies for transmission system projects, including OHL and switchgear design, OHL routing, power system analysis, cost estimation, financial analysis and decision analysis; Similar consultancy contracts completed in the last 5 years (i.e. since January 2010). Rating shall be made on a combination of the value and the number of the relevant consultancy contracts.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers - January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company.

Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at the website of the GSE as attachment to this Request for Expression of Interest.

http://www.gse.com.ge/new/?p=5136&lang=en#more-5136

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A Consultant will be selected in accordance with the Quality-and Cost-Based Selection Method (QCBS) method set out in Section II of the Guidelines: Selection and Employment of Consultants under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers - January 2011, revised July 2014

Further information can be obtained at the address below during office hours from 10:00 a.m. to 18:00 p.m. at International Projects and Reporting Department of GSE, Phone number: +995 322 510 263, Mrs. Maya Pitskhelauri, Head of International Projects & Reporting Department, email:

maya.pitskhelauri@gse.com.ge;
maka.gelashvili@gse.com.ge

Expressions of Interest must be delivered in a written form to the address below (in person, or by mail, or by fax, or by e-mail not later than the submission deadline) by February 15, 2016, 17:00.

Georgian State Electrosystem JSC
Attn: Mrs. Maya Pitskhelauri,
Head of International Projects & Reporting Department
2, Baratashvili St., 0105 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 322 510 263(264) Fax: +995 32 2 510 101;
E-mail: maya.pitskhelauri@gse.com.ge
maka.gelashvili@gse.com.ge

ნაცხადა, რომ შეზღუდვები მოიხსნა და ახლა 82 კაცს, რომლებიც დააკავა პოლიციამ იმის გამო, რომ მათ შეუძლიათ დაიმალონ რუსეთში დაბრუნების სურვილის უქონლობის გამო, შეუძლიათ „თავისუფლად წავიდნენ იქ, სადაც სურთ".

შვედი აქტივისტი, რომელიც დააპატიმრეს ჩინეთში, გაათავისუფლეს

პიტერ დალინი დააპატიმრეს ჩინეთში იანვრის დასაწყისში ქვეყნის ეროვნული უშიშროების წინააღმდეგ ბრალდებით. გასულ კვირას იგი გამოჩნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური ტელევიზიის ეთერში და აღიარა ჩინური კანონების დარღვევა.

თოვლის ქარიშხლის შედეგების თავიდან ასაცილებლად ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუნევს დახარჯოს 3 მილიარდ დოლარამდე

დანაკარგების ძირითადი ნაწილი მოდის ადგილობრივ მცხოვრებლებზე, რომლებმაც ვერ შეძლეს მისულიყვნენ სამსახურში, აგრეთვე იმ სხვადასხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებზე, რომლებიც დაიხურნენ ხელისუფლების ბრძანებით სახიფათო ბუნებრივ პირობებთან დაკავშირებით.

რუსი დიპლომატები უახლოეს დროში მოინახულებენ მფრინავ იაროშენკოს ამერიკულ ციხეში

კონსტანტინ იაროშენკომ, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ გადაიტანა ოპერაცია, უკვე დაიწყო სიარული, მაგრამ დღემდე არ ღებულობს მისთვის აუცილებელ წამლებს, ამის შესახებ განაცხადა ადვოკატმა ალექსეი ტარასოვმა. დამცველის სიტყვებით, იაროშენკო ძალიან სუსტადაა და თავს ცუდად გრძნობს. რუსი დიპლომატები აპირებენ მის მონახულებენ კვირის ბოლომდე.

კობიაშვილი ცხადაძეს კონტრაქტის გაწყვეტის შესათანხმებლად შეხვდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძესთან კონტრაქტის გაწყვეტის თაობაზე პირადად შეხვედრას და მოლაპარაკებას გეგმავს.

ამის შესახებ განცხადება კობიაშვილმა გუშინ, ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის შემდეგ გააკეთა, სადაც ნაკრების მწვრთნელთა საკითხს განიხილავდნენ.

მისი თქმით, აღმასკომზე შეთანხმდნენ, რომ კახა ცხადაძესთან ხელშეკრულება მოლაპარაკების გზით უნდა გაწყდეს. რაც შეეხება ცხადაძის შესაძლო შემცვლელებს, ლევან კობიაშვილმა აღნიშნა, რომ ამაზე მსჯელობა ჯერ არ ყოფილა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, აღმასკომმა განიხილა 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის საკითხი და ახალგაზრდული გუნდის მთავარ მწვრთნელად ერთხმად დაამტკიცა გია გეგუჩაძე, რომელმაც თბილისის „დინამოს“ თავკაცის პოსტი დატოვა.

◎ ხელბურთი

წარმატებული ტურნე ისრაელში

საქართველოს ხელბურთელ გოგონათა ნაკრები მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის კარგა ხანია, მონდომებით ემზადება მთავარი მწვრთნელის გიორგი გვაზავას ხელმძღვანელობით. ამას წინათ ჩვენი გუნდი ისრაელის ხელბურთის ფედერაციამ მიიწვია თავიანთ 20-წლამდელებთან ამხანაგური მატჩების გასამართავად. ქართველმა ხელბურთელებმა ბათიამში, ჰერცლიასა და ჰოლონში მასპინძლებთან სამი ორთაბრძოლიდან ორი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს.

ბათიამი

ისრაელი (20) – საქართველო (18) 29:32

ისრაელი: **ლევინსონი – 4, ბენ ციონი – 4, მური – 4, ბარგიგი – 4, ო. კოენი – 3, ტ. კოენი – 3, ნადი – 2, ბარელი – 2, გოფიდი – 1, ტალი – 1, ტანია – 1.**

საქართველო: **კუნელაშვილი – 11, ჩოხელი- 5, ჩოგოვაძე – 5, ვენეცკი – 3, ყველაშვილი- 3, ბერიძე – 3, ღვალაძე – 2**

ჰერცლია

ისრაელი (20) – საქართველო (18) 30:30

ისრაელი: **მური – 6, ტ. კოენი – 4, გოფიდი – 4, გუეტა – 3, ლევინსონი – 3, ბარგიგი – 3, ბენ ციონი – 2, ედენი- 2, ბარელი – 1, ნაჰუმი – 1.**

საქართველო: **კუნელაშვილი – 12, ღვალაძე – 5, ქიტესაშვილი- 3, ჩოხელი – 3, ჩოგოვაძე – 2, ყველაშვილი- 2, ბერიძე – 2, ვენეცკი – 1.**

ჰოლონი

ისრაელი (20) – საქართველო (18) 24:26

საქართველო: **ვარდიშვილი, ჯავახია, ჩაჩუა, კუნელაშვილი – 8, ღვალაძე – 6, ჩოხელი – 5, ჩოგოვაძე – 3, ყველაშვილი – 2, ვენეცკი – 2, ბერიძე, ქიტესაშვილი, ჯავახაძე, ჩირგაძე, გაგნიძე.**

საქართველოს გოგონათა ნაკრები (ანა ვარდიშვილი („მამული“), ქრისტინე ჯავახია („ფოთი“), მარიამ ჩაჩუა („პეგასი“), თინა ქიტესაშვილი („ყვარელი“), თათია გადელია („ფოთი“), ქრისტინე ღვალაძე („მამული“), თამარ ჩოგოვაძე („პეგასი“), მედეა ჩოხელი („პეგასი“), ქეთევან ვენეცკი („პეგასი“), ანა ყველაშვილი („მამული“), ნინო გაგნიძე („პეგასი“), ჯულია ჩირგაძე („წყალტუბო“), ქეთი კუნელაშვილი („ყვარელი“), მაია ბერიძე („პეგასი“), მარიკა ჯავახაძე („წყალტუბო“), მთავარი მწვრთნელი გიორგი გვაზავა, მწვრთნელები – ინა ჭკუასელი, ოლექსანდრ გურსკი) სამშობლოში დაბრუნდა და მომავალი შეჯიბრებებისთვის მზადებას განაგრძობს.

ლაშა დიდია

სურათზე: საქართველოს ხელბურთელ გოგონათა ნაკრები.

◎ ტელეეკრანთან ნაფიქრი

მოვუფრთხილდეთ ტრადიციებს!

ამ დღეებში ყურადღებით ვადევნებდი თვალს ბელგრადში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატს, სადაც უკვე ზედიზედ მეორედ, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმაც იასპარეზა. ეს სტრიქონები სწორედ სერბულმა შთაბეჭდილებებმა მიკარნახა.

ჩვენთვის – ქართველებისთვის ისტორიული მეხსიერება, წარსულის დიდება ყველგან და ყველაფერში საამაყოა, გნებავთ – მარადიული, უკვდავი.

ჩვენი ისტორია, კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა, დიახაც, გვკარნახობს, რომ მოვუფრთხილდეთ ეროვნულ თვითშეგნებას, ცნობიერებას.

ზემოთ ჩამოთვლილ დარგებთან ერთად მოკრძალებით უნდა ვახსენოთ ქართული სპორტის, მათ შორის წყალბურთის სასახელო ტრადიციები. რა თქმა უნდა, სათანადო პატივს მივაგებთ სპორტის სხვა სათამაშო სახეობებში მიღწეულ წარმატებებსაც, მაგრამ ის მაინც შევახსენოთ ხოლმე გულშემატკივრებს, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში სხვადასხვა ტურნირებსა თუ შეხვედრებში დამარცხებული გვყავს მოქმედი ოლიმპიური თუ ევროპის ჩემპიონები უნგრელები, იტალიელები და იუგოსლავიელები. ეს იგივეა, ჩვენს ფეხბურთელებს ბრაზილიელებისთვის, ან კალათბურთელებს ამერიკელებისთვის რომ მოეგოთ. ასე რომ, ნუ დავიზარებთ წარსულის საამაყო ფურცლების ხშირად წაკითხვა-გახსენებას.

ეს წარსულზე მეტად მომავლის განჭვრეტას სჭირდება.

ოთარ მიმინოშვილი

◎ ჭიდაობა

უკრაინიდან - უხვი ნადავლით

ხარკოვში ორ დღეს გრძელდებოდა უკრაინის დამსახურებული მწვრთნელის ლეონიდ დუნაის მემორიალი თავისუფალ ჭიდაობაში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს უკრაინის, გერმანიის, მოლდოვის, სომხეთის და საქართველოს ჭაბუკმა ფალავნებმა. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ბიჭები.

პირად პირველობაში ყველა მეტოქეს სძლიეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნიკა კვინიკაძე (50), რომელმაც ფინალში თანაგუნდელი თორნიკე ქათამაძე დაამარცხა, ამირან ვახტანგიშვილი (54), გიორგი ელბაქიძე (58), დანიელ მარქარაშვილი (63), მირიან მაისურაძე (76) და სიმონ ოსკანიანი (85). მეორე ადგილი, ქათამაძის (50) გარდა, რომან აფციაურმა (63), გოგა მამიაურმა (69) და ბექა გამყრელიძემ (100) დაიკავეს. ბრინჯაოს მედლები გოდერძი ძებისაშვილსა (54) და ცოტნე აბალაკს (58) ერგოთ.

ტურნირის მეორე დღეს გუნდური პაექრობები გაიმართა. საქართველოს ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი – გიორგი იანტბელიძე, მწვრთნელები – კახაბერ დობორჯგინიძე და ლაშა ქეთიშვილი) ზედიზედ აჯობა აჭარის (8:2), დონეცკის (9:1), ოდესის (7:3) გუნდებს, ფინალში კი მასპინძლებს მოუგო (6:4) და პირველ ადგილზე გავიდა.

გივი გაგუა

სურათზე: საქართველოს ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრები.

◎ მძლეოსნობა

ღია თბილისი ჭაბუკებისთვის

1999 წელს და უფრო გვიან დაბადებულმა მძლეოსნებმა შარშან ჩვენთან გამართულ ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში იასპარეზეს. წლეულს ისინი თბილისში 16-წლამდელთა კონტინენტის პირველ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს. ამ შეჯიბრებაზე გამოსვლის უფლება შარშანდელ ფესტივალზე 400 მეტრზე თარჯრბენში დავით ლუკავამ მოიპოვა; 2015 წელს გაინაღდა ლიცენზია სიგრძეზე მხტომელმა რომან ბადრიძემ, ხოლო ბირთვის კვრაში ბადრი ქიმაძემ სალიცენზიო ნორმატივი შეასრულა თბილისის ღია პირველობაზე, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის 1999-2001 წლებში დაბადებული მძლეოსნები მონაწილეობდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:

გოგონები. 60 მ. ანა კონსტანტინიდი (8,28), **60 მ/თარჯრბენი.** თამუნა ცერცვაძე (11,51), **200 მ.** ანა კონსტანტინიდი (27,55), **400 მ.** ნინა ცერცვაძე (1.02,54), **800 მ.** ნინა ცერცვაძე (2.25,66), **1500 მ.** ანა რამაზაშვილი (ყველა – თბილისი, 5.26,76). **სიმაღლეზე ხტომა.** მარი მეჯიდოვი (აჭარა, 160), **ჭოკით ხტომა.** სალომე ინჯგია (290). **სიგრძეზე ხტომა.** მარი თათარაშვილი (ორივე-თბილისი, 4,63), **სამხტომი.** მარი მეჯიდოვი (აჭარა, 9,80), **ბირთვი.** სალომე თურმანიძე (12,14), **ბადრო.** სალომე თურმანიძე (33,31), **შუბი.** მარი სარიევი (ორივე – თბილისი, 32,44).

ბიჭები. 60 მ. რომან ბადრიძე (თბილისი, 7,23), **60 მ/თარჯრბენი.** ლუკა ყუფუნია (8,72), **200 მ.** ლუკა ყუფუნია (თბილისი, 24,09), **400 მ.** რუბენ აბესაძე (ქუთაისი, 54,70), **800 მ.** გიორგი ჩიტიშვილი (თბილისი, 2.10,43), **1500 მ.** საბა ხვიჩავა (თბილისი-ფოთი, 4.07,78), **3000 მ.** საბა ხვიჩავა (9.02,33), **სიმაღლეზე ხტომა.** ზურაბ მიქაია (ორივე-თბილისი, 180), **ჭოკით ხტომა.** საბა სოსელია (თბილისი, 3,90), **სიგრძეზე ხტომა.** რომან ბადრიძე (თბილისი, 6,80), **სამხტომი.** გიორგი ფოფხაძე (ქუთაისი, 12,76), **ბირთვი.** ბადრი ქიმაძე (18,56). **ბადრო.** ბადრი ქიმაძე (48,80), **შუბი.** ლუკა გელაშვილი (ბორჯომი, 42,82), **ურო.** დავით ოჩიგავა (აბაშა, 62,89).

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

ბუფონი 2018 წელს დაგვემშვიდობება

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ კაპიტანმა ჯანლუიჯი ბუფონმა განაცხადა, რომ დიდი ფეხბურთიდან მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შემდეგ წავა. ამის შესახებ ლეგენდარულმა მეკარემ იტალიურ მედიას განუცხადა.

37 წლის ბუფონს, რომელიც ორ დღეში 38 წლის ხდება, მხოლოდ ორ კლუბში, „პარმასა“ და „იუვენტუსში“ უთამაშია. იტალიის ნაკრებში კი ჩატარებული თამაშების რაოდენობით რეკორდსმენია.

◎ სულიერება

დღეს ნინოობაა, გილოცავთ!

27 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს, მოციქულთა სწორსა და ქართველთა განმანათლებელს.

წარმოშობით ნინო კაბადოკიიდან იყო. გადმოცემით, ნინოს მამა ზაბულონი იმპერატორ მაქსიმიანეს მხედართმთავარი ყოფილა. მას შემდეგ, რაც სამსახურისთვის თავი დაუნებებია და იერუსალიმის პატრიარქის, იუბანელის და – სუსანა შეურთავს, ცოტა ხანში მონაზვნად აღკვეცილა; რაც შეეხება ნინოს დედას, ის გლახაკთა სამზრუნველოს მსახური გამხდარა.

...გადმოცემით, ნინო იერუსალიმიდან იმპერატორ კონსტანტინე I-ის კარზე მოხვედრილა, სადაც დედოფალ ელენესა და სეფე ქალებს ქრისტიანობას უქადაგებდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ნინო საქართველოში წამოსულა. მას მცხეთაშივე აღუმართავს სალოცავად ვაზის ტოტისგან („ნასხლევისგან“) გაკეთებული ჯვარი.

ნინოს წყალობით მცხეთაში მისვლიდან მეექვსე წელს გაქრისტიანდა ქართლის დედოფალი ნანა, მეფე მირიანი და სამეფო ოჯახის წევრები. ამის შემდეგ ნინოს რჩევით მეფემ მოციქულები გაგზავნა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესთან სამღვდელოების ჩამოსაყვანად, რათა ხალხი მოენათლათ და ეკურთხებინათ ახლად აგებული ეკლესია.

ნინოს მალე სამისიონერო მოღვაწეობა გაუგრძელებია ქართლის სამეფოს სხვა კუთხეებშიც. ერისთავის, სამღვდელოებისა და ჯარის თანხლებით ნინო მთიანეთში (წობენში) ასულა და წილკნელები, ჭართალელები, ფხოველები და ერწო-თიანელებიც გაუქრისტიანებია. უკან დაბრუნებისას ავად გამხდარა და სოფელ ბოდში (ახლანდელი ბოდბე) გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ.

ნინოს, როგორც წმინდანის ხსენების დღედ ეკლესიამ დააწესა მისი მიცვალების დღე – 27 იანვარი.

გიული ლიპარტია

ეპიტაფია

დამაშვრალი მწიგნობარი

დოდო მერმანიშვილის გარდაცვალების გამო

კიდევ ერთი ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი ადამიანი წავიდა იმ მარადიულ სამყოფელში, სადაც მართალნი მკვიდრობენ და უფალს ავედრებენ ამ წუთისოფელში დარჩენილ მოკვდავთ. **დოდო მერმანიშვილს** აქვს ამგვარი ვედრების უფლება, რამეთუ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე უმწიკვლოდ მიუძღვნა ღვთით რჩეულ პროფესიას – მწიგნობრობას.

განსვენებული იმ დიდი მოღვაწეების გვერდით იღვწოდა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ სამეცნიერო-პედაგოგიურ ბიბლიოთეკას, რომლის დარბაზებში გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ პედაგოგიკის მეცნიერების მთელი თაობები. იგი ქსენია იოსელიანთან, ტასო ჭოღოშვილთან, მარიკა აბრამიასთან, ნათელა ბერძენიშვილთან და სხვა გამორჩეულ მწიგნობრებთან ერთად რუდუნებით აშენებდა იმ დიდ საგანმანათლებლო საგანძურს, რომელსაც დიდი იაკობ გოგებაშვილის სახელი ეწოდა და რომელიც თავისი სიმდიდრით გამორჩეული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის დარგობრივ პედაგოგიურ ბიბლიოთეკებს შორის.

განსვენებული ქალბატონი დოდო ნამდვილად უფლის მიერ მადლცხებული ადამიანი გახლდათ, სათნო, კეთილშობილი, გულისხმიერი, სხვის დასახმარებლად მუდამ მზადმყოფი. მას სხვათა დახმარების არა მარტო უსაზღვრო სურვილი, არამედ ასევე უსაზღვრო შეძლებაც ჰქონდა. წიგნებისა და საბიბლიოთეკო საქმის დიდ ცოდნას ფლობდა და იმიტომ! რა უნდა გეკითხა, რომ კვალიფიციური პასუხი არ ჰქონოდა. გვიკვირდა ხოლმე: რა მეხსიერების სალარო ჰქონდა ისეთი, ამდენ უტყუარ ინფორმაციას რომ იტევდა, რასაც უშურველად უნაწილებდა ყველას, საბიბლიოთეკო საქმეში ცოცხალი ენციკლოპედია იყო. იგი იყო ერთ-ერთი შემდგენელი უნიკალური ბროშურებისა: „ქართული საანბანო წიგნის ბიბლიოგრაფი“ (1629-1940), „იაკობ გოგებაშვილის“ (1865-1940), „ქართული ენის სწავლება სკოლაში“ (1629-1958) და სხვები.

მან დიდხანს იმუშავა იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-პედაგოგიურ ბიბლიოთეკაში უმნიშვნელოვანესი განყოფილების გამგედ. ოთხმოც წელს კარგა ხნის გადაცილებული იყო, პენსიაზე რომ გავიდა, მაგრამ არც ამის შედეგ მოწყვეტილა მწიგნობრობას. არაერთხელ მიგვიმართავს მისთვის დახმარებისთვის და ისიც ჩვეული გულისხმიერებით უტყუარი ორიენტირებით დაგვაკვალიანებდა ხოლმე წიგნების უკიდეგანო ოკეანეში. მის მიერ მოცემული რჩევა თუ ორიენტაცია ერთხელაც არ გაცუდებულა, მუდამ ზუსტი იყო.

წავიდა დამაშვრალი მწიგნობარი და ამქვეყნად დატოვა მადლიერების ნათელი სვეტი, რომელიც არ ჩაქრება იმათ გულებში, ვინც მას იცნობდა და ვისაც მასთან – მწიგნობართან ურთიერთობა ჰქონია. ასეთი კი მრავალზე მრავლად არიან.

მსუბუქი იყოს მისთვის სამშობლოს მიწა!
ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული!

მეგობრები, ამხანაგები, კოლეგები, მკითხველები

◎ ეს გამოგადგებათ!

რა უნდა, ნეჭავ, ამ გრიპს!

ზამთრის მიწურულისთვის ჩვენი ორგანიზმის იმუნური სისტემა სუსტდება, ამდენად მომძლავრებული ვირუსები მას ადვილად ერევა. ამავე დროს, გრიპთან და გაციებასთან ბრძოლის მრავალ თანამედროვე პრეპარატთან ერთად, მრავლადაა ასევე „ბებია-ბაბუის“ დროინდელი მრავალი ნაცადი ხერხი, რომელთა გამოყენება, ვფიქრობთ, სნეულებასთან ბრძოლაში აუცილებლად დაგეხმარებათ.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ზოგიერთი „ანტიგრიპოზული“ ხერხის შესახებ გიამბობდეთ, რამდენიმე საგულისხმო ფაქტს მოგახსენებთ.

ბავშვები გრიპით უფროსებზე სამჯერ უფრო ხშირად ავადდებიან; 6 თვიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებში გრიპის 40 პროცენტი (!), ოტიტით სრულდება, რაც, ზოგჯერ, სიყრუეს იწვევს, ამიტომაცაა საჭირო, რომ ბავშვები გრიპისგან აუცილებლად აცრებით დავიცვათ; ამასთან, გაცივებისა გრიპზე ნაკლებად უნდა გეშინოდეთ, ბავშვობის მანძილზე ქალაქელი ბავშვი მწვავე რესპირატორული ვირუსული დაავადებებით (მრვდ) დაახლოებით 40-ჯერ სნეულდება, რა დროსაც წელიწადში 5-7-ჯერ ავადმყოფობს; 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის გრიპის დროს სიცხის დამწევი საშუალებების მიცემა არ შეიძლება; ჩვენში გრიპებისა და გაცივებების სეზონი დაახლოებით 4-5 თვეს გრძელდება, რა დროსაც ზრდასრული ადამიანი, საშუალოდ, ორჯერ ავადდება; ბედნიერი ცოლ-ქმარი, დაუოჯახებლებთან შედარებით, გრიპს გაცილებით ადვილად და სწრაფად ერევა. დაოჯახებულთა სისხლი გაცილებით მეტ ანტისხეულს შეიცავს, რომლებსაც ორგანიზმი ინფექციასთან საბრძოლველად აწარმოებს, ახლად დაცილებულ ცოლ-ქმარს კი ანტისხეულთა შემცველობა სისხლში გაცილებით შემცირებული აქვთ; მათ, ვინც დღე-ღამეში რეკომენდებული 8 ჭიქა წყლის მაგივრად მხოლოდ სამს სვამს, ინფექციებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარი ხუთჯერ ნაკლები აქვთ; ცხვირის ლორწოვანი გარსი – პირველი ზღუდეა ორგანიზმში გაცივების ვირუსების შეღწევის გზაზე. ამიტომაც ნორმალური ფუნქციონირებისთვის ის ნამიანი უნდა იყოს, რისთვისაც ორგანიზმს დღე-ღამეში არანაკლებ ორი ლიტრი წყალი სჭირდება; გერმანელი ექიმები ირწმუნებიან, რომ სიმღერა აკაჟებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას. ქოროს მომღერალთა გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მოცარტის „რექვიემის“ რეპეტიციამდე და მისი დასრულებიდან ერთი საათის შემდეგ, სიმღერის დროს სისხლში იმუნოგლობულინ A-სა და ჰიდროკურტიზონის შემცველობამ საგრძნობლად მოიმატა: გრიპის პანდემიები ყოველი 30-40 წლის პერიოდულობით მეორდება; კალიფორნიელ მეცნიერთა განცხადებით, ბაქტერიებისადმი წინააღმდეგობის გამწევი სისხლის თეთრი ნაწილაკების შემცველობა საგრძნობლად მატულობს ჭიდაობის საათნახევრიანი ვარჯიშის შემდეგ.

ახლა კი, დაპირებისამებრ, ზოგიერთი ძველებური მეთოდიკის შესახებ, რომლებიც, მართალია, ვირუსებს არ სპობენ, მაგრამ საგრძნობლად აადვილებენ ავადმყოფობის მიმდინარეობას.

● **სითხის ჭარბად მიღება.** ვირუსებს არ უყვართ ტუტე გარემო, ამიტომ მეტად სარგებლიანია ტუტე მინერალური წყლის სმა. ასევე კარგია იმუნიტეტის გამმაგრებელი C ვიტამინის შემცველი ნაირნაირი წვენების სმა. მდგომარეობას ასევე ამსუბუქებს თბილი ლიმონიანი ჩაი თაფლით, ან ჟოლოთი. ავადმყოფობის დროს საჭიროა დღეში 3-4 ლიტრი წყლის დალევა.

● **მშრალი სითბო.** ავადმყოფობის დროს სხეულს მაქსიმალური კომფორტი სჭირდება, ამიტომ ჩაიცვით შალის მაისური, მტკივან ყელზე შარფი შემოიხვიეთ, ფეხზე თბილი წინდები მოირგეთ.

● **ყელის ტკივილის დროს** გამოივლეთ გვირილის, კალენდულას, ზაფრანას ნაყენები.

● **ცხვირის შეთბობა** – სურდოს დროს ეს პროცედურა მაგრად მოხარშული კვერცხებით, ნაჭერში გახვეული გამთბარი მარილით შეასრულეთ.

● **ინგალაცია** – ხველების დროს ისუნთქეთ კანიანად მოხარშული კარტოფილის, ან მდუღარე წყალში გახსნილი ვალიდოლის აბის ორთქლით.

● **სურდოს დროს** ცხვირში მარილის სუსტი ხსნარი გამოივლეთ.

● **გაცივების პირველი ნიშნებისთანავე ჩინელები ენით ღრძილების მასაჟს გვირჩევენ:** 16 წრე უნდა გაიკეთოდ ყბების გარე და ამდენივე შიდა ზედაპირზე.

● **სიცხის დაწევა შეუძლია:** გრილ შხაპს, ასევე ნამიანი ანდა ძმრიანი წყლით დასველებული პირსახოცით, აგრეთვე სპირტით დაზელვას.

ისე კი, უმჯობესია, ჯანმრთელად იყოთ და არ იავადმყოფოთ, რასაც გულწრფელად გისურვებთ!

დალი ხუნდაძე

◎ ინფორმაცია

ინტერპოლით ძებნილი ხელვაჩაურში დააკავეს

თბილისის ინტერპოლისა და შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ანკარის ინტერპოლის მიერ 18.12.2015 წლიდან წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1970 წელს დაბადებული ს. ს. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ონტოპოში დააკავეს.

ს. ს. დამნაშავედ არის ცნობილი თაღლითობასა და ოფიციალური დოკუმენტების გაყალბებაში.

ს. ს-ს მიმართ მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები. ამ დროისთვის დაკავებული შესახლებულია პენიტენციალური დეპარტამენტის №2 დაწესებულებაში.

განადგურდა უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკები

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია სხვადასხვა სახეობის ნარკოტიკული საშუალებები: კოდეინის შემცველი 108 405 აბი, პრეგბალინის შემცველი 20 454 აბი, 633 აბი „სუბუტექსი“, 711 გრ ჰეროინი, 17 კგ და 828 გრ მარიხუანა, „მეთადონი“ „კოკაინი“, ასევე, სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები ახალი ტექნოლოგიით, მაღალტემპერატურულ ღუმელში გაანადგურა.

სამართალდამცველები ნარკოტიკულ და ფსიქოაქტიურ საშუალებებს სასამართლოს შესაბამისი განაჩენის შემდეგ, 3 თვეში ერთხელ ანადგურებენ.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◎ კაკალ გულში

ცხადაძე კი არა, შარლ დე გოლი გადადგა...

● ცხადაძე კი არა, შარლ დე გოლი, შევარდნაძე და ივანიშვილიც კი გადადგნენ!

● რად უნდა არჩევნებს ამდენი წვალება, ფიქრი, პიარ-ტექნოლოგიები, და ა. შ. სექტემბერში მთელი საქართველო გავიწვიოთ ჯარში და 60% გარანტირებულია!!!

● მოსამართლე ეკითხება მოწმეს:

– ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ აუპატიურებდაო?

– შორიდან მეც ეგრე მეგონა, მაგრამ ახლოს რომ მივედი, იმენნა სტ...ავდაო!

ეგრეა პედრო აგრამუნტის და გიგი უგულავას საქმე.

● ვერაფრით ვერ გავიგე, რას ნიშნავს ფრაზა „ქართველობას გვართმევენ!“

ე.ი. ღამის 2 საათზე ნილბიანი თეა თუთბერიძე, გიგა ბოკერია, მიშა მაჭავარიანი, ბოცო წიკლაური, კაპიტანი გიგაური და მთელი მაგათი ლიბერასტი ბანდა შემომივარდნენ, უთო ჩართეს და მეუბნებიან – მაიტა შენი ქართველობაო. მე თავიდან ვეუბნები – არა ბატონო, რა ქართველობა, რის ქართველობა, მე ვინ მომცა ეგა, შვილებს აი იაც ვერ ვასწავლეთ-მეთქი, მარა, ისინი ავტომატის კონდახს მირტყამენ და ცხელ უთოს მკერდის მარცხენა მხარეს, მეხუთე და მეშვიდე ნეკნს შუა მადებენ!

ცოტა ხნის შემდეგ ვეღარ ვუძლებ ამ ტკივილს და თვალით ვანიშნებ იმ მუთაქისკენ, სადაც ქართველობა მაქვს შენახული.

ისინი ბრდღვნიან მუთაქას, ბუმბულს ოთახში მიმოაბნევენ, ჩემს ქართველობას იღებენ და ბოროტი ხარხარით ევროპისკენ მიდიან.

მე ვდგები, იქედნურად ვიცინი და ყურთბალიშს, რომელშიც ნამდვილი ქართველობა მქონდა დამალული, გულზე ვიკრავ!

კარგით რა ხალხო!

ისე ერთ რამეს მართლა სერიოზულად ვიტყვი: – იმას, რაც გულში გაქვს, ვერასდროს ვერავინ ვერ წაგართმევს და რაც „შავი დღისთვის“ მუთაქაში, ან ყურთბალიშში გაქვს შენახული, გინდ გქონია, გინდ არა და ტყუილად იმის ძახილი, ვაიმე ქართველობა წაგვართვესო, ნაღდად ცარიელი ბაზარია!

● ვითომდა სტრასბურგის სასამართლომ ჩვილთა ნათლობა აკრძალაო. რამხელა იდოტია, ვინც ეს გაავრცელა.

1. სტრასბურგის სასამართლოა, თუ ნიკეას სასულიერო კრება?

2. ვერ ხვდებიან, რომ ასეთი იდიოტური ჭორებით ამ უდიდეს ქრისტიანულ საიდუმლოს უფრო რომ აძლიერებენ?

ღმერთო, შენ უშველე ყველა გაჭირვებულს!

„აბესალომ და ეთერი“ თუ... „მიშა და ეთერი“...

● რაც მართალია, მართალია, კარგად იხუმრა ილო ბეროშვილმა: რას ერჩით ამ ნიკა გვარამიას „აბესალომ და ეთერის“ გაბანძებისთვის, აბა ერთი „მიშა და ეთერი“ ყოფილიყო, რამდენს აქებდა...

● იმას, გრიპია თუ რაღაც უბედურება, დაარქვით ნაცების გრიპი! უამრავი ადამიანი წავა და ყოველგვარი მოწოდების გარეშე ვაქცინაციას გაიკეთებს!

● დაანებეთ ღორებს თავი, ფრიად საჭირო ცხოველები არიან: „ჟარკოე“, „მწვადი“, „ხალადეცი“ დ.ა.შ.

● ქართული ცეკვა, ყვავილების ქვეყანა, ჩაკრულო, ვეფხისტყაოსანი, ტაძრები, საჭმელები ჩვენიაო სომხებმა... მაინცდამაინც ლუგარის ლაბორატორია და H1N1-ია თქვენიო.

● სულ დაკარგეს სიფხიზლე ევროატლანტებმა?!..

„საქართველოს მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანა მივიყვანოთ კონდიციამდე (კონდიციამდე მიყვანაში იგულისხმება ამერიკული საბრძოლო მანქანა „აბრამსი“ და 70 ტონა ამერიკული „სამხედრო ტვირთი“), რომ ნებისმიერ ხელისუფალს (აქ, უმალ, პუტინი იგულისხმება) ორჯერ დაფიქრება მოუწიოს, სანამ არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებს ჩვენთან დაკავშირებით“... თინა ხიდაშელი.

ამ თამარსარდალს, „სწორი გადაწყვეტილების“ მიღებამდე, ან ისტორიის წიგნი წააკითხეთ, ან რამე კინო აჩვენეთ ომზე (მაგ. „ბერლინის დაცემა“), თორემ ძალიან (ძალიან!) სახიფათოდ ეთამაშება „აბრამსებს“, „სამხედრო ტვირთებს“ და „ნებისმიერ ხელისუფალებს“ და კაცმა რომ თქვას, თვითონ კისერიც უტეხია, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

მილოცვა

მურიკო თოფურიძე, თამაზ, ტურკეცა კალანდაძეები, ვეფხვო ოზაშვილი, თენგიზ კალანდაძე და სრულიად „კუს ტბის საზოგადოება“ ჩვენს უახლოეს მეგობრებს შორენა და დათო შუბითიძეებს ვულოცავთ ქალიშვილის, უმშვენიერესი და უკეთილშობილესი

ნინო შუბითიძის

დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დაე, ყოველი დღე მისთვის ყოფილიყოს ბედნიერების და ულევი სიხარულის მომტანი.

◎ ორი სათრეველა

ნიკასა გვარამიასა, ბოდმისგან ვარამიანსა

„თვისტომის დამწუნებელსა“...

აბაკი

ვინა ხარ?
ბრიყვულ გაგებით
საიდან გამოეთერი,
რომ შეურაცხყავ ჰანგები
‚აბესალომ და ეთერის“?
სატანა რატომ ირწმუნე,
ნაგავში რატომ ნაგავობ?
როცა ‘ჩაკრულოს“ გვიწუნებ,
კოსმოსმაც გინდა აღგავოს?

ლარის ვალსი

ბაზარში დახლთან წაიქცა ქალი;
რას მოვესწარით,
ვაი, რას?
ქადაგიძესთან ვალსს ცეკვავს
ლარი
და ემატება ვალი ვალს!

ალექსანდრე შენგელია

ძუთაისი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ოი, რა ლამაზი ტყუპი გოგო გყავთ... ასეთი ფილიგრანული ასლი როგორ გააკეთეთ?

– ტრაფარეტი გაჩვენოთ? – უპასუხებს გაღიზიანებული მამა.

* * *

„ჯანმრთელობის“ საიტზე წავიკითხე ორგანიზმისთვის მავნე პროდუქტების ჩამონათვალი.

ღმერთო ჩემო, რა გამოდის? დედაჩემს ბავშვობაში ჩემი მოკვდინება სურდა?!

* * *

– მოუშე, გავიგე, რომ ბიძაშენი გაგიჟებულა და შენთვის 10 ათასი დოლარი უჩუქებია?

– ასეც ხდება, თორემ სხვანაირად როგორ და რით ავხსნა ეს?

– მაშინ ერთი თვით მასესხე ათასი დოლარი.

– ხაიმ, ბიძაჩემი გაგიჟდა, მე კი არა!

* * *

– ალო, ეს ქალთა კონსულტაციაა?

– დიახ, გამარჯობათ.

– მითხარით, მუხრუჭის პედალი მარჯვნივაა თუ მარცხნივ?

* * *

– ოფიციანტო, ეს რა ხდება? ადრე თქვენს სუფაში ადრე ორი ნაჭერი ხორცი იდო, ახლა კი მხოლოდ ერთია!

– ოო, მაპატიეთ, როგორც ჩანს, მზარეულს მისი შუაზე გაჭრა დავიწყებია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!